წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 4 ოქტომბერი 1915 წ. № 108

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა დილიდან საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакціи „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, почт. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ახალი კლუბის“
მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 ამა ოქტომბრის თვიდან კლუბი სახაზინო შენობაში გადმოვიდა; აღნიშნულ დღიდან სასეზონო ბილეთები გაუქმებულია და ყველა იმ პირთ, ვინც ასეთი ბილეთებით სარგებლობდნენ შეუძლიანთ კლუბში სიარული საზოგადო წესით. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით გაიმართება **სინემატოგრაფი**. კვირაში ხუთს დღეს დაუკრავს **სიმებიანი ორკესტრი, ხოლო ხუთშაბათობით და კვირაობით სამხედრო მუსიკა.**

სინემატოგრაფების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მომხმარებელი საზოგადოება
„მეურნე“

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოებაში წევრად ჩაწერა სხვათა შორის შეიძლება სამეურნეო ბანკში გ. კანდელაკისთან, წერა-კითხვის საზოგადოებაში ვანო აფალიშვილთან, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში შაქრო ბილანიშვილთან და „საქართველოს“, „თანამედროვე აზრის“, „სახალხო ფურცლის“ და „ახალი კლუბის“ კანტორებში. საზოგადოებაში ჩასაწერი გადასახადია ერთი მანეთი, ხოლო თითო პაი ღირს 10 მანეთი. საპაიო ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვკისრულობთ
გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები
სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო
„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.
აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაჟენებთ ბიგნეს.
ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.
ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.
ახლად დაარსებული საამხანაგო
ფქვილის საწყობი „რაჭა“
ჰურის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —10

გადაწერას საწერ მანქანის
საშვალებით და საწერ მანქანაზე
მუშაობის სწავლებას
ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. ბ...თუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
... ...
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. ტფილისი
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5— 6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის
ქარხნები
მ. ე. ლალიძე და ამხ.
თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.
**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**
ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლალიძის და ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. **მხოლოდ ლალიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლალიძის წყალი**, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

ამერიკული ვაზი
თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის **ამერიკული ვაზის** რქა და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის **ფესვიანი ძირები**; აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**
შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву. 10—3

ქ. ქუთაისში **1915 წლის 15 ოქტომბრიდან,** გამოვა ახალი ყოველდღიური
სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი
„მეგობარი“
**გ. მაიაშვილის და კიტა აბაშიძის** უახლოეს მონაწილეობით. გაზეთი ღირება **წლიურად—8 მან; თვეში—80 კ.;** ცალკე **ნომერი 5 კაპ.** პირველ ოქტომბრიდან **პირველ იანვრამდე—2 მან. 50 კაპ.** გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.
მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა. **ჭილაძის სახლი, „მეგობრის“ რედაქცია.**
რედაქტ.-გამომცემელი **დ. ი. შარაშენიძე.**
7—2

პროვინციელ აგენტების
საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირო ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.
„საქართველოს“ რედაქცია.

## ზაასი
### XX
#### ჩვენ და მეზობლები.

ერთი საუკუნის მანძილი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სომეხთა ახალშენები საფუძვლიანად მოწყობილ იყო ამიერ-კავკასიაში. 1897 წლის ერთის დღის აღწერამ გამოაჩინა, რომ შემოხიზნულ სომეხთა რაოდენობა ქართველობის საერთო რიცხვს თითქმის გაუსწორდა.

დღევანდელმა მსოფლიო ომმა დაჰბადა კვლავ ახალი დენა სომხის ერისა ჩვენსკენ და აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიისკენ. ტალღა ისე დიდია, რომ შეიძლება წალეკოს კიდეც ის ველმინდორი და მთა-გორანი, სადაც ეს ტალღა გაჩერდება. დანამდვილებით არავინ იცის, რამდენია რიცხვი შემოხიზნულ სომხობისა, მაგრამ თუ გაზეთები არა სტყუიან განზრახ, მათი რაოდენობა სამას ათასს უწევს.

გაზეთ „ზაკ. რეჩის“ თანამშრომელმა „გრუზინმა“ (ფსევდონიმია) თავი მოუყარა გაბნეულ ცნობებს და მოკლედ აღწერა, თუ რა დროს რამდენი სომეხი დასახლდა ჩვენში. ცნობები შეეხება მარტო მეცხრამეტე საუკუნეს. არ არის მოხსენებული ამბავი სიღნაღში გადმოსახლებისა მეთვრამეტე საუკუნეში მეფე ერეკლეს მიერ, ავლაბარში დაბინავება სომხებისა; დასახლება ყარაბაღიდან გამოყვანილ მეფე ერეკლეს მიერ სომხებისა და მათი დაბინავება ლორში. არც ის არის მკაფიოდ ნაჩვენები, თუ როგორ გადმოსხა სომხები სპარსეთიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პოდპოლკოვნიკმა ლაზარევმა (ტომით სომეხმა) და დააბინავა იგინი ერევნის გუბერნიაში.

მიუხედავად ასეთის ნაკლისა „გრუზინის“ მიერ შეკრებილი ციფრინი შემოხიზნულ სომეხთა რაოდენობისა მეტისმეტად საგულისხმოა და ჩამაფიქრებელი. თუ ასე იწარმოვა საქმემ ერთი ათი წელიწადი კიდევ, სომხის ნასახიც აღარ დარჩება ყოფილ სასომხეთში და დედაბუდიანად აქ მოიკალათებს.

ეს მცირე ისტორიული მიმოხილვა, ანუ თვალის გადავლება წარსულისა სრულიად ნათელს ჰყოფს იმას, თუ რამ დაჰბადა პროექტი ამიერ-კავკასიის ხელახლა გამიჯვნისა ადმინისტრატიულად, თუ საიდან გაჩნდა პროექტი საუზნო ერობისა, ან კიდევ თუ გნებავთ შეუწყნარებელი და გაუგებარი მოვლენა, რომ ა. ხატისოვმა თეთრი კენჭი მისცა ნ. ს. ჩხეიძეს და იძულებულ ჰყო დანარჩენი სომეხნიც ორიოდეს გარდა მისებრივ მოქცეულიყო. ეს მოუვიდა ბ-ნს ხატისოვს და მის თანამოაზრეთ ჩხეიძის სიყვარულით კი არა, ან იმიტომ, რომ იზიარებდა მის პოლიტიკურ და სოციალ რწმენას, სრულიადაც არა. ბ-ნი ჩხეიძე ხატისოვის თვალში უარმყოფელია ქართველ ერის ეროვნულ უფლებისა და როგორც ასეთი--სანატრელი კანდიდატია მისთვის. როდესაც შემოხიზნული სცდილობს საფუძვლიანად დამკვიდრებას სხვისა კარმიდამოზე, დარღვევა, დაფლეთა, მტვრად ქცევა ამ სხვის ყოველგვარ უფლებისა.—ისტორიულია იგი, ეროვნული, პოლიტიკური, თუ ეკონომიური, ეს სულ ერთია, ხელსაყრელია და მაშასადამე სასურველი.

რას მოგვითხრობენ ბ-ნ „გრუზინის“ მიერ მოყვანილნი საყურადღებო ციფრნი? აი რას: 1828—1830 წლებში მთავრობამ გადმოასახლა სპარსეთიდან 40.000 სული სომეხი, ხოლო აზრუმიდან 84.000, სულ 124.000 [1]). შემოხიზნულნი დაასახლეს ერევნისა და განჯის გუბერნიებში, ნაწილი კიდევ ქ. ახალციხეს და მის მაზრაში, ჯავახეთს (ახალქალაქის მაზრა) და ბორჩალოში. აზრუმელ მოახალშენეთა შორის იყო დიდძალი სომეხ-კათოლიკობა, რომელთაც შემდეგ კინაღამ ჩაჰყლაპეს ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა და დღესაც დავა დაუსრულებელია. ქართველ კათოლიკეთ დიდად უჭირთ გვარტომობის აღდგენა. მოსულთა დაბინავებას დასჭირდა 200.000 დესეტინა, დღევანდელ ფასით ოც მილიონად ღირებული. ორ მილიონად ღირებული მიწაც უყიდეს მაჰმადიანებისაგან. აზრუმელებს ერთი მილიონი მანათიც ასიგნაციით აჩუქა მთავრობამ მოსაწყობად. ბ-ნი „გრუზინი“ ჰფიქრობს, რომ 1830 წ. შემოსულნი ორას ათას სულამდე იქნებაო, რადგან 124.000 სული ოფიციალურადაა აღნუსხულიო, ვინ იცის აღუნუსხველად რამდენი შემოიპარაო.

სტატისტიკის მიხედვით ერი 50 წელს ორკეცდება. მაშასადამე 1880 წ. მარტო ესენი, პასკევიჩის დროს მოსულნი, გახდებოდნენ 400.000 სული და 15 წლის შემდეგ უწევენ 800.000 სულს.

1864 წლიდან მოკიდებული 1876 წლამდე ანატოლიიდან გამოიყვანა მთავრობამ სომხობა და დაასახლა საუკეთესო მამულზე სოხუმის ოლქში. 1876—1878 წ. ომის შემდეგ ყარსის ოლქში ჩაასახლეს 50.000 სული სომეხი, ხოლო გენერალმა ტერ-ღუკასოვმა 35.000 ოჯახი (კიბიტკა) სურმალინის მაზრაში. ამას შემდეგ პირაღებით მოდის და მოდის სომხობა დასამკვიდრებლად საქართველოსა და აღმოსავლეთ-სამხრეთ ამიერ-კავკასიაში. 1893—1894 წ. არეულობის შემდეგ ოსმალეთში (სასუნის ჟლეტა-წყვეტა სომხებისა) დიდძალი სომხობა მოაწყდა ამიერ-კავკასიას. ეჩმიაძინის კათოლიკოსის ანგარიშით შემოხიზნულთა რიცხვი იყო 10.000 სული, ხოლო 1897 წ. თავად გალიცინის მოპრძანების დროს ეს ათი ათასი გადაქცეულა 90.000 სულად. ერთის სიტყვით, სტატისტიკების გამოანგარიშებით, ბრძანებს „გრუზინი“, 1896 წლიდან, 13 წლის განმავლობაში, კავკასიას შემოხიზვნია 300.000 სულზე მეტი სომეხი.

როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, ასეთს გადმოსახლებას ხელს უწყობდა მთავრობა და დღესაც ხელს უწყობს.

---

[1]) იხ. ფრიად საყურადღებო წიგნი გ. ეზოვისა: „Сношенія армянскаго народа съ Петромъ Великимъ“.

ჩვენ ვსთქვით, რომ დღეს შემოგვესია, გაზეთების ანგარიშით, 300.000 აწიოკებულ-აკლებული სომეხი. ვინაა თავმდები იმისა, რომ შემოხიზნულნი ნახევარ მილიონს არ სჭარბობენ.

უმიწაწყლო ქართველისთვის მთავრობას ერთი მუჭა ადგილი აღარა აქვს, ეგები აქვს, მაგრამ ჩვენთვის ვეღარ იმეტებს. აგერ ეხლაც მუღანში აპირობენ გალიციელების დასახლებას. მაშ რა გვეშველება, როგორ უნდა ჩასტიონ ჩვენ შორის ეს აუარებელი ხალხი?

აი, თუ გნებავთ, კისერ მოსატეხი გამოცანა.

ა.—ლი.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ავსტრო - გერმანიიდან ჰაეროპლანები ბულგარეთში გაუგზავნიათ. ჰაეროპლანები სერბეთის მამულზე გადაფრენილან.

ბ. ვ.

——

ბულგარეთში კიდევ მისულან გერმანელ შტაბის 60 ოფიცერი, რათა ბულგარეთის ჯარს ხელმძღვანელობა გაუწიონ.

ბ. ვ.

——

ბულგარეთის მისიას უთხოვნია რუმინეთისათვის 6000 ბულგარელი ჯარისკაცი რუმინიაზე გადაატარეო. რუმინეთის მთავრობას ყველასათვის პასპორტები მოუთხოვნია, იმის შიშით რომ ეს ჯარი გერმანელი ოფიცრები არ ყოფილიყვნენ.

——

როგორც იტყობინებიან: ავსტრო-გერმანეთის წყალქვეშა ნავებს ბულგარეთის ნავთსადგურებთან დაუდვიათ ბინა.

——

რადოსლავოვს უთქვამს ბერძენთა ელჩისათვის: მოკავშირე ჯარის გადმოსხმა სალონიკში ეწინააღმდეგება იმ განცხადებას, რაც ამას წინად საბერძნეთის მთავრობამ წარმოგვიდგინაო. ამიტომ ბულგარეთის მთავრობა ვერ იკისრებს პასუხის მგებლობას, უკეთუ ბულგარეთის ხალხი საბერძნეთისადმი გუნებას გამოიცვლისო.

——

უკეთუ სერბეთში საჭირო შეიქნა სატახტო ქალაქს ნიშიდან პრიშტინში გადიტანენ.

——

ვოლფის სააგენტო უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომ გერმანეთმა 60 ნავი დაჰლუპა, მაგრამ ადასტურებს, რომ ამის მეოთხედი უნდა დაღუპვილიყოო.

იტალეთს რომ ბალკანეთის ომში ჩარევის სურვილი აქვს იქიდან სჩანს, რომ ბულგარეთის ელჩს პასპორტები ჩააბარეს.

——

იტალიეთის პოლიტიკურ წრეებსა და გაზეთებში ამბობენ: თუ საბერძნეთიც ბულგარეთის მსგავსად 1897 წლის ამაგს უმადურად მოექცევა, მაშინ იტალეთის ჯარი მოკავშირეებთან ერთად საბერძნეთის წინაალმდეგ ენერგიულ ზომებს მიიღებსო.

——

შვეცური გაზეთი იტყობინება: ბულგარეთის პირდაპირი წინააღმდეგობა რუსეთის ულტიმატუმისა შედეგია იმისა, რომ ბულგარეთს და რუმინეთს შორის ორი კვირით ადრე შეთანხმება მოხდა.

——

ერთი რუმინელი პროფესორი ამბობს: არა მგონია გერმანეთმა შესძლოს და ამდენ ხალხს გაუმკლავდეს და დაამარცხოსო. მარტო იმას ვერ შესძლებს, რომ გამარჯვებით მოპოვებულს თავი დაუჭიროსო.

——

ბავარელ გაზეთში დასტამბულია ჯიოლიტის წერილი: ჩემთვის ჯერ კიდევ გამოურკვეველია, **დასასრული ექმნება თუ არა ბრძოლის ველზე დღევანდელს ომს?** მე ვგონებ, რომ არც გამარჯვებული და არც დამარცხებული უკიდურესობამდე არ მიიყვანენ. ამ ჟამად ისეთი გარემოება შეიქმნა, რომ დღევანდელი ბანაკად დაყოფა სახელმწიფოებისა მალე დაიშლება. მტერი მოყვარედ გახდება და მოყვარე მტრად. ჩემის აზრით, ასეთი ახალი განაწილება შერიგებამდე მიიყვანს. ბევრი ჰკიდია აგრეთვე იმ გარემოებაზე, თუ ბალკანეთის სახელმწიფოები საით გადაიხრებიან. ჩვენ წინ შახმატის თამაშია. როცა გულის ყურით თამაშობენ, თამაშიც ძნელდება, მაგრამ საკმარისია ერთი ყალბი ნაბიჯი და თამაშიც გათავდება ერთერთის სასარგებლოდ; მე ვგონებ ერთმა მოთამაშემ უკვე გადასდგა ნაბიჯიო.

**მაკენზენი სერბიის საზღვრებზე.**

მაკენზენმა სერბიაში ფეხის შედგმისთანავე იგივე ბრძოლის საშუალება მოიხმარა, რაც გალიციაში: ფალანგებს ადგენს და გალაშქრებული მძიმე არტილერიის ქარიშხალისებური ცეცხლით უმაგრებს ზურგს.

**გენერალი ჰამილტონი.**

გენერალი ჰამილტონი მრავალ ინგლისფრანგ აფიცრებითურთ მიეშურება ნიშისაკენ.

**მაშველნი იგვიანებენ.**

სალონიკში მოკავშირეთა მიერ გადასხმული მაშველი ჯარები სერბიაში წასასვლელად იგვიანებენ, როდესაც ჯარების გასაგზავნად მხოლოდ ერთი რკინის გზის შტოა და ეს კი დიდს ლაშქარს სწრაფად ვერ გადაჰგზავნისო.

**ტაიმსის აზრი ექსპედიციის შესახებ.**

„ტაიმსის" აზრით სერბიის მისაშველებლად უკანასკნელი 400 ათასი ჯარისკაცია საჭირო. თუ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ გამარჯვებაზე დიდს იმედს ვეღარ დავამყარებთო.

**ბულგარეთ-გერმანეთის ხელშეკრულობა.**

ათინაში გამოქვეყნდა ბულგარეთ-გერმანეთის ხელშეკრულობა. აქ საბერძნეთის მაკედონიაზე კრინტიც არ არის დაძრული. ბულგარეთს ეთმობა სერბეთის ნაწილი მორავამნს და მთელი სერბეთის მაკედონია.

**ორ მილიონი ჯარისკაცის მობილიზაცია.**

ბუქარესტში გერმანიის ელჩს უთქვამს, ჩვენ გვსურს სტამბოლში გზა გავიკვლიოთ, რათა ოსმალეთის ხალხით ვისარგებლოთო. ოსმალეთს ამ ჟამად ორ მილიონ ჯარისკაცის მობილიზაცია მოუხდენია. ამათ შეიარაღებას კისრულობს გერმანია. შეიარაღებისთანავე მათ გაისტუმრებს ევროპას ეხლა და სხვა ფრონტის დასაცველად და იგივენი გარდამწყვეტ როლს ითამაშებენო.

**ავსტრიის შტაბის ცნობა.**

ავსტრიის შტაბი იუწყება, რომ ავსტრო-გერმანელთა შეერთებულმა ძალებმა სერბები უკუაგდეს ბელგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და სამხრეთ-დასავლეთისკენ და დაიჭირეს ზელენავგორას—ველიკი ვრაჩარის ხაზის პოზიციებიო.

**ნეიტრალი ზონის შექმნა.**

სოფიიდან იუწყებიან, ბულგარეთ-საბერძნეთის საზღვრის გარდი-გარდმო ნეიტრალად გამოცხადდა ორი ვერსის სიგანის ზონა, საზღვარზე მოსალოდნელ შეტაკების ასაცილებლადო.

**ახალი სესხი.**

ინგლისის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია ახალი სესხის აღება რამოდენიმე კვირის შემდეგ.

**ბენარი ლონდონში.**

საფრანგეთის ავიაციის სათავეში მყოფი ბ-ნი ბენარი ლონდონს გაემგზავრა განსაკუთრებულ თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

**სამხედრო საბჭოს სხდომა.**

ლონდონში გამართულ სამხედრო საბჭოს სხდომას საფრანგეთის მხრივ დაესწრნენ საფრანგეთის ელჩი კამბონი და საფრანგეთის ჯარის წარმომადგენელი.

## უკანასკნელი ფოსტა

**ნიშიდან ცნობა მოვიდა, პირველ ოქტომბერს ბულგარებმა სერბებს მთელი ფრონტის გასწვრივ შემოუტიეს. სერბიის მთავრობამ გამოაცხადა ამიერიდან ბულგარეთთან ომი გვაქვსო.**

——

**პარიზიდან იუწყებიან, ბულგარეთის ელჩმა აუწყა საბერძნეთის მთავრობას, რადგანაც სერბები კიუსტენდილის ახლო ბულგარეთში შემოიჭრნენ, ბულგარეთმა პირველ ოქტომბერს დილის რვა საათზე სერბეთს ომი გამოუცხადაო.**

——

ჰამბურგიდან ხუთი გემი ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა.

სერბეთის მთავრობას საბერძნეთისაგან პასუხი [illegible] ხელშეკრულობის [illegible] სერბეთის მთავრობას მაინც იმედი აქვს რომ გარემოება საბერძნეთს ხელში იარაღს აღებინებსო.

——

გალიპოლზე მოქმედება გაცხოველდა. მოკავშირეებმა ოდნავ წინ წამოიწიეს აჯი-ბაბა-ყარადოგლისკენ. სუვლის მიდამოში ოსმალნი შემოტევას დაადგნენ. მოკავშირეთა ფლოტმა ისინი უკუაქცია, ზარალი დიდია ორთავე მხრიდან.

——

ოსმალეთში ბერძნების დევნა კვლავ დაიწყეს.

——

ოსმალეთმა სამსახურში ქრისტიანებიც გაიწვია.

——

ლონდონში ყველა დარწმუნებულია რომ ახლო მომავალში სამინისტროში შესამჩნევი ცვლილებები მოხდება. „დეილ-ნიუსის" აზრით, სავალდებულო სამხედრო ბეგრის მომხრენი მინისტრები საჭიროდ არ სცნობენ სამინისტროდან გასვლას, რადგანაც დარწმუნებულნი არიან თავიანთ პოლიტიკის გამარჯვებაში.

——

„დეილ-ტელეგრაფის" სიტყვით ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოები უკვე მზად არიან ენერგიული მოქმედება დაიწყონ ბულგარეთის წინააღმდეგ. სოლუნში უკვე ასი ჯარისკაცი გადასხესო.

——

ცეპელინები კვლავ ეწვიენ ლონდონს და აღმოსავლეთ საგრაფოებს. ყოველგან ყუმბარები ჩამოჰყარეს. სახლებს ცეცხლი ეკიდებოდა. მსხვერპლი ჯერ სრულად არ არის გამორკვეული. ჯერ იციან, რომ დახოცილა 15, დაჭრილია 13 ჯარისკაცი; მცხოვრებთაგან დაჭრილია 64. მარტო ლონდონში 32 უმსხვერპლია და 95 დაჭრილა.

# შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი.** მთელი ფრონტის გასწვრივ ოსმალნი იერიშით მოდიან, მაგრამ რუსები ყოველგან იგერიებენ. მელიაზგერთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ალჟორდასა და ექრეშის შუა, ოსმალთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ვასტანის ღელეში, ვანის ტბის სამხრეთ ნაპირთან, 30 ენკ. დილით ოსმალებმა გამოილაშქრეს. რუსთა არტილერიამ მათი არტილერია ჩააჩუმა, თავის მხრით რუსებმა შეუტიეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ გაჰ-

# შემოსევა საქართველოში არაბებისა მე-8 საუკუნეში (698—739 წ.)

**წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა.**

ეს საკითხი განგებ ავირჩიე საკვლევად, რადგან ეს ხანა ჩვენის ისტორიისა ჩვენის მწერლებისაგან თითქმის ხელუხლებელია, მეტად ბნელი და თან საინტერსოც ეროვნულ თვითშეგნებისათვის.

ეს დიდი ხანა თითქმის სრულიად აღუწერელი დარჩენიათ ქართველ თანამედროვე მემატიანებს, სულ რამდენიმე სტრიქონიღა შეუტანიათ ძველს ქართლის ცხოვრებაში. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ საშიშარმა და ხანგრძლივმა ომებმა არაბებთან მაშინდელს ქართველობას ხელიდან კალამი გააგდებინა და მთელი ეროვნული ძალღონე მოანდომებინა მთელის ქვეყნის დამამხობ ბრძოლას ქრისტეს რჯულისა და ეროვნების დასაცავად. არაბთა შემოსევის საშინელებამ შესწყვიტა ბუნებრივი მსვლელობა ჩვენის ისტორიისა და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველა ჩვენი ძველი მატიანები სწორედ ამ არაბთა შემოსევაზე სწყდება: შატბერდის კრებულის ქრონიკა, ჭელიშისა, საეკლესიო მატიანეებისა, რომელიც წარმოგვიდგენს წმ. ნინოს ცხოვრების გაგრძელება'ს (ამაზე იხ. ჩემი „ქრონიკები" ტ. I, გვ. 104—105, 344) და თვით ჩვენს სახელოვანის მატიანის, ქ-ცხბის, უძველესს ვარიანტებში აქ, არაბთა შემოსევის ხანაზე, ცოტაღა ყოფილა დაწერილი [1]) და მხოლოდ შემდეგთა საუკუნეთა სიგრძეში ეს ცარიელი ალაგი საეკლესიო წიგნებიდან ამოღებულ ცნობებით შეუმსიათ, სახელდობრ: 1, ერთი ნაწილი შეუტანიათ მოთხრობისაგან ანაკოფიის ღვთისმშობლის ხატის სასწაულებისა, სადაც აღწერილი ყოფილა სასწაულებრივი დამხობა მურვანისა ანაყოფიის და ქუჯის ციხეთა კედელთ ქვეშ, როგორც ეს ადვილად მისახვედრია, თუ კრიტიკულად ჩაუკვირდებით ძველ ტექსტს „ქართლის ცხოვრებისას"; 2) მეორე ნაწილი ჩვენის მატიანის ტექსტისა შეტანილია წ-თა დავით და კონსტანტინეს ცხოვრებიდან შემდეგს საუკუნეებში, როგორც ამ ჩემს აზრს ამტკიცებს ესრედ წოდებული Chonique arméniéne, რომელიც წარმოგვიდგენს იმავე ჩვენის ძველის „ქართლის ცხოვრების" მეთორმეტე საუკუნეში შემოკლებულად სომხურ ენაზე გადათარგმნილს პირს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, შეუკავშირებელი და ძნელად გასაგები, შენახულა თანამედროვე სომხის ბერის გევონდის და X საუკ. ასოღიკის ისტორიაში (რომელნიც შემოკლებულად შეტანილია ჩემი „ქრონიკების" I ტ. მეხუთე დამატებაში) და ფრანგულად ბროსესგან შეკრებილ ნაწყვეტებისაგან სომეხ-არაბთა მეისტორიეთაგან. აი მთელი ჩვენი ავლა-დიდება იმ ბნელ დროებათა ამბების აღსაწერად!

სასიამოვნოდ ჩვენდა მ. საბინინის „სამოთხეში" დაიბეჭდა წმ. შიოს სასწაულები (გვ. 258; ჩემი „ქრონიკები" I, გვ. 343—345), სადაც მოკლე მაგრამ მეტად საჭირო ცნობებია შენახული აჰმათის შემოსევაზე და ნეოფიტის ურბნელად კურთხევაზე. ეს სასწაულები, გადაწერილია მეათე საუკუნის კათალიკოზის ბასილის მიერ. დიდის ძებნის შემდეგ, ჩვენ ვიპოვნეთ ერთს ხელნაწერში, შედარებამ დაამტკიცა რომ საბინინს სწორედ გამოუცია ტექსტი ამ ძვირფასის საბუთისა.

ამ ბასილ კათალიკოსზე ჩვენ შემოვკრიბეთ ცნობა („ქრონიკები", 1 გვ. 59-60, შენ.) და დავასაბუთეთ, რომ ის ცხოვრობდა მეათე საუკუნის დამწყებს, და მე-9 საუკუნის დამლევს.[2]) მაშასადამე გადამწერი ძალიან შორს არ არის აღწერილ ამბებთან. ხოლო რადგან ბასილი კათალიკოზს თვითონ კი არ დაუწერია ეს ამბები, არამედ **სხვა წიგნებიდან გადმოუწერია**, ამის გამო მისგან გადმოცემულს ცნობებს უდიადესი ფასი აქვს მეცნიერების წინ, რადგან პირველი აღმწერელი იმ ამბებისა თითქმის თანამედროვე ყოფილა იმისი, რაც აღუწერია.

აი, ეს ზემო ჩამოთვლილი ისტორიული ცნობები და განსაკუთრებით კათალიკოზის ბასილის ძვირფასი წერილი გახდა ქვაკუთხედ ქვემო დაბეჭდილის ჩემის გამოკვლევისა არაბთა შემოსევაზე.

ბასილ კათალიკოზის ცნობამ გააშუქა აქამდი გაუგებარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები სომეხ მეისტორიეთაგან შენახული (გევონდის. ვალანკატფაცის და სხ.) და მთელი სურათი დაგვიხატა **აქამდი სრულიად უცნობ ამბებისა** შესახებ აჰმადის უთვალავ ჯარის ორჯერ შემოსევისა საქართველოში, რომლის ხსენებაც არ არის „ქართლის ცხოვრებაში"—რატომ? იმიტომ რომ ძველ მემატიანეს ამ მატიანის მერმინდელ გადამკეთებელთ სამივე დიდი შემოსევა არაბებისა (აჰმედასი ორი შემოსევა და ერთიც მურვანყრუსი) ერთად აურევიათ და ერთ შემოსევად აუწერია ის გრძელი და გასაშტერებელი ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა საქართველოში ხანგრძლივ და ზედი-ზედ, თითქმის 35 წლის სიგრძეში! დიაღაც სახელოვანი ფურცლებია ჩვენს ისტორიაში ეს ტრაგიკული დრო, როდესაც ქართველობამ გამოიჩინა არაკული მხნეობა, გენიოსური უნარი ეროვნების დაცვისა, დაუჯერებელი თავგანწირვა და გმირობა იმ მსოფლიო ერთან ბრძოლაში, რომლის ძლიერებამ დაამხო თითქმის მთელი მაშინდელი ქვეყნიერება—აზია, აფრიკეთი და ნაწილი ევროპისა. ამ მსოფლიო ისტორიულ ბრძოლაში ქართველთა ღვაწლი თანდათან უფრო ცხადად ბრწყინდება, თვალსაჩინო და უეჭველი ხდება ახალ საბუთების აღმოჩენით.

კიდევ ორიოდე სიტყვა: კათალიკოზის ბასილის წერილი სათანადო განმარტებით და სომეხთა მატიანეებიდან ამოწერილ ცნობებით მე შევიტანე ჩემს „ქრონიკებში" ტ. I, დამატება V. ჩვენმა დიდმა მუშაკმა, ბ. ჯანაშვილმა, ვერ ისარგებლა ამ მასალით და ის აზრი გამოსთქვა, ვითომ იქ მოხსენებული **„ამირ მუმინი"** ვითომ მეცხრე საუკუნის ხალიფას მამუნის (813—833 წ.) სახელი იყოს. მაგრამ დიდად შესცდა: „ამირ-მუმლი" ანუ „ამირ-მუმინი" სახელი-კი არ არის, არამედ ხარისხია, ხალიფების **სამეფოტიტული**, როგორც ამას ამტკიცებს მეათე საუკ. ხელნაწერი (ეკ. მუზ. № 19), სადაც ხშირად იხსენიება, „ამირ-მუმინი" როგორც ხარისხი ხალიფებისა და არა როგორც კაცის სახელი: მაგ. „აბდილა ამირამუში" († 775), ამირი შვილი „მაჰდი ამირამუმლი", მაჰდის ძე „მოსე ამირა-მუმნი" და სხ.—გარდა ამისა ბ. ჯანაშვილი რომ შემცდარია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მოხსენებული აჰმად მხედართმთავარი გამოგზავნა სალაშქროდ ხალიფამა **ვციტმა** (იხ. გევანდი და ასოღიკი გვ. 92—95). **პირველს წელს მისის მეფობისას** ე. ი. 705—706 წ. (იხ. ამაზე ვრცლად ჩემს „ქრონიკ." I, გვ. 344—5).[3]) სიტყვა „ამირა-მუინი" ანუ „Амирэль-Мумелинъ, ბ. პატკანიანცის განმარტებით, ნიშნავს **მაჰმადის მოადგილეს** და ყველა ხალიფების წოდებაა და არა სახელი Гевандъ, изд. Патканова, стр. 118, прнмѣч.).

თ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)

——————

[1]) თვით ჩვენი ძველი მატიანე ქცხბა ჰმოწმობს ამას და იტყვის: **„რომელ ჟამთა შლილობისა გამო ჯერისაებრ ვერვის აღეწერა"** (ქცხ. გვ. 181 და ჩემი „ქრონ." I, გვ. XXXV—XXXVI) არჩილ მეფის წამება. ან რა დროს მატიანეს აღწერა იყო, როცა თითქმის ოცდაათს წელიწადს დაუსვენებელი ბრძოლა გვქონდა მთელს მაჰმადიანობასთან?

[2]) იხ. ქრონ. 1, გვ. 74—75: შენიშ. №№ 149; 146; 147. შარშან „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა პროფ. მარრის გამოცემულ „გრიგოლ ხანძიელის ცხოვრებაზე" ანგარიში, სადაც საყვედური გამომეცხადა იმაზე, ვითომ მე ასწლოვანი შეცდომა მომსვლოდეს ილარიონის კათალიკოზის დროს განმარტებაში (იხ. ჩემი „ქრონ." 1, გვ. 79, შენ. № 157). ეს საყვედური უსაფუძვლოა; იქვე მე დავსდებ ილარიონის სიკვდილს დაახლოვებით 853 წ. (შეუდარე ერთმანეთს შენიშვნები №№ 149/ივ. № 146 და 147, სადაც გამოანგარიშებულია 883 წელი გამოკლებით 30 წლისა. ე. ი. 853 წ.). საკვირველია რომ ავტორი ჩემს ანგარიშებს ჰმალავს და პლატ. იოსელიანის ანგარიშს მე მომაწერს (იხ. შენ. № 157), თუმცა მე ცხადათ ვუჩვენებ პ. იოსელიანის წიგნს. ყოვლად დასაგმობია ზოგიერთის ჩვენის მეცნიერის ქცევა: თუ შეცდომა გინახეს აგიკლებენ, თუ ვერ გინახეს—მოგიგონებენ რასმე და მეოე სდიე, ამ დევნას მოუნდები! ამასთან კიდე უარესი ზნე სჭირთ ზოგიერთებს—კარგი თუ რამე გინახეს თქვენს ნაწერებში—თავისთვის გადააწყობენ შენ არ გახსენებენ ისე, ან ყრუდ ჩააფუჩეჩებენ...

[3]) ერთი არა-მეცნიერული ჩვეულება დასჩემდათ ზოგიერთ ქართველ მეცნიერებს: სხვისგან მეცნიერულად გამოკვლეულს კითხვებს თვისს კვლევაში **ისე ჩააფუჩეჩებენ**, ვითომ ამ კითხვებზე სხვისი ნაკვლევი არ არსებობდეს. მეცნიერი მკვლევარი კი მოვალეა წინამკვლევართა შრომანი **მოიხსენიოს**: რაც მართალი გამოჩნდეს ის მიიღოს **ავტორთა დასახელებით**, ხოლო რაც მისაღები არ გამოჩნდეს იმას მეცნიერული კრიტიკა უნდა უყოს, დაარღვიოს და ავტორი **მაინც** მოიხსენიოს. მე ამას ბ. ჯანაშვილზე, არ ვამბობ, რომელსაც მე დიდად პატივსა ვცემ, როგორც დიდს მუშაკს და ცხარე პატრიოტს,—საზოგადოდ ვამბობ: ავტორების დაუსახელობა **სამეცნიერო შრომა-კვლევაში** დიდად საზარალოა თვით მეცნიერების წინსვლისათვის და უკულტურობის ნაყოფია.

ისიც მეტად უმსგავსი ჩვეულებაა, რომ ზოგიერთნი ჩვენი შრომით სარგებლობენ, მაგრამ სამოწმებლად (ციტატი) ჩვენგან დაბეჭდილს წიგნების გვერდებს-კი არ უჩვენებენ, არამედ იმ ნომრებს (ნუსხებს) გუჯრებისას ანუ ხელნაწერებისას, რომელთა მე ვუჩვენებ ჩემს ნაკვლევარში და ამით მკითხველს აღორებენ, ვითომ ამ ვაჟბატონებს ხელში ჰქონოდესთ თვით ის გუჯრები და ხელნაწერები, რომელნიც მე გამიშინჯავს და ვითომ თვით იმ პირველ წყაროთაგან ამოეღოთ ცნობები!—ეს შეუწყნარებელია მეცნიერებაში. უარესებიც არიან—ზოგნი პირდაპირ ტაციაობენ სხვის ნაშრომებს (მასალებს, აზრებს და სხ.) და თავის „ნაკვლევებში" გადააქვთ: ამისთანებს უნდა სატირის მწერლობით დევნა, სანამ ბოროტება მეტად არ გაძლიერებულა და მეცნიერების წინსვლას ელობება.

ვანტეს კიდეც. დავლად დარჩათ ორი ზარბაზანი და ტყვიები. ადგილობრივ სმალებმა 250 გვამი დასტოვეს. რუსა ზარალი სათქმელადაც არ ჰღირს.

პეტროგრადი, 2 ოქტომ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. დვინსკის რაიოის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. ევრს ადგილას საარტილერიო სროლა მკაცრეს ხასიათს იღებს. საზოგადოდ დგომარეობა უცვლელი რჩება. ობელის ტბის რაიონის დასავლეთით რუებმა ბრძოლით აიღეს სოფ. გარანცი ა სტავარელის ჩრდილოეთით სასალაო. პრიპიატზე, სოფ. ნობელის აიონში, გერმანელები მდინარის მეარე ნაწილზე გადარეკეს. ტარნოპოლის დასავლეთით ავსტრიელნი იერიით გამოემართნენ, მაგრამ რუსების იერ გადარეკილ იქმნენ მდ. სტრიპზე. ამით 1 ოქტომბერს დღე და ღამის ანმავლობაში მტერმა მეოთხედ მოიანა იერიში, ხიშტზე ხიშტით ეკვეთა ოფ. გაივორონკის რაიონში, მდ. ტრიზე, მაგრამ სწრაფი კონტრიერიით რუსებმა უკუაგდეს თავიანთ თხრილებისაკენ. იმავე რაიონში მტერი ვლავ იერიშით წამოვიდა. რუსებმა ხლოს მოუშვეს, მაგრამ უეცრივ შეუეს და სტრიპის მეორე ნაპირზე გადაჰრეკეს.

## ბულგარ-სერბთა პირველი შეჯახებანი

28 სექტემბერს დილის 10 საათზე ბულგარები უცებ თავს დაესხნენ კორიტცა გლოვას; თავდასხმა უგერებულ იქმნა. იმავე დღეს ბულგარებმა პოზიცია დაიჭირეს კიტსთან და ერთი კილომეტრით (თითქმის ვერსია) სერბთა ტერიტორიში შემოიჭრნენ.

29 სექტემბერს ბულგარები იერიშით მივიდნენ სერბთა პოზიციზე ივანოვო-ლევადსთან, მაგრამ უკუ აგდეს. იმავე დღეს ბულგარეთპიზანსა და ბუკფაში იერიში მიტანეს სერბებზე, ისე როგორც კაჰკთან, ბასოვიერთან და გალეშან, ყოველგან უშედეგოდ.

30 სექტემბერს ბულგარებმა იერიში მოიტანეს სერბთა დგომის ხაზზე, ტრავესი-პიხანა-ბუკვა-ვესელიოვა-ტოგუკას გასწვრივ: მთელ ამ ხაზის გაყოლებაზე სერბებს უკან დახევინეს.

პირველ ოქტომბერს ბულგარებმა უცებ თავს დაესხნენ დეჟნევ კლაძესს, ტარნივრახს და ყველა ეს პუნქტი დაიჭირეს. იმავე დღეს ბულგარებმა შემოუტიეს პლაშინცა-კოჩევრიშზე, პიროტის მახლობლად. 30 სექტემბერს დილით ბულგარებმა პოლანკის მახლობლად იერიში მიიტანეს რავნას სიმაგრეზე და პოზიციებზე, რომელიც იყო გამართული ბაირამთან და ბოჟევართან. ამავე დროს ბულგარებმა იერიში მოიტანეს როდიშჩევისა და გრადგენას მიმართულებით, სტრუცის ველის აღმოსავლეთით.

## ქართული პრესა

ქართულ პრესას ერთი ყოველ-დღიური ორგანო შეემატა, „მეგობარი“. გაზეთი ქუთაისში გამოდის. უახლოეს მონაწილეობას იღებენ კარგად ცნობილი ზდანოვიჩი და ბ-ნი კიტა აბაშიძე. გადავხედეთ პირველ ორ ნომერს. მოველოდით, ქვეყნის აღრევის ამ განსაკუთრებულ ჟამს, ამ უბედოთა ბედის ჭედის მოლოდინში, ხელ-ბედნიერთა უფსკრულის პირას წარსდგომის ხანაში, რა ეცემოდა საშვალება თქმისა და გულდაგროვილ ეროვნულ ბოლმა-ვარამის გარედ გამოტანისა, ქართველი პუბლიცისტი გვამხელდა ტკივილებს ერისას, ეტყოდა სათანადო გზის არჩევის სიმას, მოხაზავდა ზოგადად რა გეზსა და მიმართულებაზე უნდა სდგებოდა ჩვენს ყოფაში ჩავარდნილი ერი. არაფერი ამის მსგავსი! პირველი მოწინავე სულით მიაგავს რუსულ მემარცხენე პარტიულ გაზეთთა გადმობეჭდილ ყოველდღიურ, ბოდიში სიტყვისათვის, წილადობიას. მოთავსებულია წინააღმდეგობა ეკონომიურ კატეგორიათა, და მათი დროული პოლიტიკური გარემოება. აი ეს ყოფილა თურმე მთავარი სატკივარი ჩვენი ერისა. როცა ამას ხედავ, შეგიძლია სთქვა, შორს ვყოფილვართ ჯერ კიდევ ეროვნულ პოლიტიკურ შეგნებისა და წუხილ ძიებისაგანო. საბედნიეროდ, ასეთი აზრი მხოლოდ „მეგობრის“ პირველი ორი ნომრის წაკითხვით აღგეძრება ადამიანს. სინამდვილე უფრო გამამხნევებელია.

გულწრფელად ვისურვებთ ამ გაზეთის თანამშრომლების კალამი უფრო ღრმად ამოვლებოდეს ჩვენს ტკივილებს და ჩვენი ცხოვრების სიღრმეში ეკრიფოს და ეძიოს სიტყვა სათქმელი.

„საქართველოს“ კანტორა აუწყებს პატივცემულ წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც კი ხვედრი ფული არ შემოუტანია, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

**პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მ. და 70 კ. ერთი თვით—90 კ.**

კვირაობით გაზეთი დამატებითი ფურცლით გამოდის. ყოველი ნომერი ქალაქსა და ქალაქ გარედ 5 კ. ღირს.

რედაქციის კანტორა ერთხელ და სამუდამოდ აცხადებს, უმარკო წერილებს არ გამოიხსნის.

**მოუწოდებთ** ჩვენ მკითხველებს და თანამგრძნობთ დაგვეხმარონ და ფართოდ გაავრცელონ გაზეთი „საქართველო“

**მისამართი:** Тифлисъ, Московская, 4. Редакція „Сакартвело“ поч. ящ. 76.

## საზოგადოებანი და კრებები

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს შეერთებული კრება.**

კრება შესდგა, დ. გ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით, 2 ოქტომბერს. კრების საგანს შეადგენდა საკითხი ორივე საზოგადოების მუზეუმებისა და ბიბლიოთეკის შეერთების პირობათა გამორკვევა.

შეერთებულმა კრებამ 2 ოქტომბერს ვერავითარი საერთო რეზოლიუცია ვერ გამოიტანა, რადგან ორთავე საზოგადოების გამგეობა და საბჭო თავთავიანთ ინტერესებს იცავდნენ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ამტკიცებდა, რომ წ.-კ. საზოგადოება, როგორც ასეთი, უნდა ხელმძღვანელობდეს სკოლებს და წერა-კითხვას ავრცელებდეს ხალხში, ხოლო რაც შეეხება მუზეუმს და ისტორიულ წიგნთა ბიბლიოთეკას, ეს ისტორიისა და ეთნოგრაფიის სპეციალურს საგანს შეადგენსო. თუ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მოვლას ჩვენ ვერ შევსძლებთ, თქვენი საკუთრება უკანვე დაგიბრუნდებათო და სხ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წევრთა შორის მხოლოდ ბ-ნი დ. კარიჭაშვილი იყო თანახმა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საბჭოსი; დანარჩენები კი სხვა გადაწყვეტილებას ადგნენ. შეერთებული კრება შეუთანხმებლად დაიშალა. წ.-კ. საზოგადოების გამგეობა საზოგადო კრებას მოახსენებს მოლაპარაკების მსვლელობას და მ[illegible] გამოითხოვს ინსტრუქციას.

## ახალი ამბავი

◆ **გასამართლების გამო.** თავის დეპეშის პასუხად სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის გენერალლეიტენანტ ვოლსკისაგან: „მეფის ნაცვლის, მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ბრძანებით გატყობინებთ, რომ აჭარლები სამხედრო სამართალში მიცემულ იქმნენ კმასაყოფელ საბუთების ძალით, რომელნიც საგანგებო გამოძიებამ აღმოაჩინა. სასამართლოს განაჩენს პირველ საქმის გამო დაერთო შუამდგომლობა სასჯელის შემსუბუქების შესახებ. ყველა განაჩენი დიდს მთავარს მოხსენდება. მკაცრად დაისჯებიან მხოლოდ შეგნებული მონაწილენი ბოროტმოქმედურ მოძრაობისა და არა ბნელი ხალხი. ჩეტნიკთა ახალ რაზმების შედგენა მოწმობს საქმის ნამდვილ ვითარებას. თუ თქვენ თბილისს მოხვალთ, ნაბრძანები მაქვს მოგცეთ საშუალება მთელი საქმის გაცნობისა“.

◆ **ტრამვაის კონდუქტორთა შორის.** თბილისში ხმა დადის, რომ თბილისის ტრამვაის კონდუქტორთა შორის დიდი მითქმა-მოთქმაა იმის გამო, რომ ზოგიერთი „ნარიადჩიკი“ და მათი თანაშემწენი ხელქვეითებისაგან ქრთამს იღებენო. 60 კაცამდე კონდუქტორს საჩივარიც შეუტანია ამის გამო ტრამვაის დირექციაში და უკვე გამოძიება სწარმოებს. როგორც ამბობენ, ამხანაგობაში ისეთი კონდუქტორებიც აღმოჩენილან, რომელნიც მექრთამეებს ზურგს უმაგრებენ.

◆ **ქართული წარმოდგენა.** სახალხო სახლთან არსებული ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე დღეს საღამოს გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოადგენენ ბ-ნ გედევანიშვილს პიესას—„გამცემი“.

◆ **ხოლერა.** 2 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერის ნიშნებით 5 კაცი. ლაზარეთიდან გამოეწერა 14 კაცი. გუშინ, 3 ოქტომბერს ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 118 და ხოლერის ნიშნებით 10 კაცი.

◆ **ახალი გაზეთი.** ქუთაისში გამოვიდა ახალი ყოველდღიური გაზეთი „მეგობარი“, რომლის ორი ნომერი უკვე მიიღო ჩვენმა რედაქციამ.

◆ **ჯარიმები.** გუბერნატორმა ხუთხუთი თუმნით დააჯარიმა სასანიტარო წესების დარღვევისათვის: გერმანე ყიფიანი, სტეფანე ოქოევი და ქიტესა მამამთავრიშვილი. თუ ფულს ვერ შეიტანენ, თითო თვით იქნებიან დაპატიმრებულნი.

◆ **ღვინის გაყიდვისათვის** გუბერნატორმა ხუთი თუმნით დააჯარიმა ნაშორაძე. ფულს თუ ვერ შეიტანს, ორი კვირით იქნება დაპატიმრებული.

◆ **ტრამვაის ლიანდაგის** უსუფთაობისათვის გუბერნატორმა ხუთი თუმნით დააჯარიმა ტრამვაის დირექტორი ბ-ნი ტახტაჯიანი.

◆ **სურსათი.** 2 ოქტომბერს მოტანილი იყო თბილისში; ფქვილი 3 ვაგ., სიმინდი 1 ვ., შაქარი 2 ვაგ., ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., კომბოსტო 1 ვაგ., ხილი 2 ვ., ქერი 5 ვ., ბზე 2 ვ., ღვინო 4 ვაგ., ჩაი 100 ფუთი, ყველი 100 ფუთი, თევზი 100 ფუთი.

## ძვირფას კახეთს

მუდმივი და გაუტეხელი შრომა კახეთის სახალხო მოღვაწეებისა დიდ გამარჯვებით დამთავრდა.

ტელეგრაფმა მოგვიტანა დიდად სასიხარულო ამბავი:

კახეთის სასოფლო ბანკების კავშირი მთავრობის მიერ დამტკიცებული იქმნა.

პირველი კავშირი მთელ ამიერკავკასიაში!

დღეიდან მდიდარი და მშვენიერი კუთხე საქართველოსი, კახეთი,—დარაზმული გამოდის სამშობლო საეკონომიო სარბიელზედ.

გარე და შიგნითი კახეთი, ქიზიყი, თუშ-ფშავ ხევსურეთი შედუღებულნი საერთო მშობლიურ ეკონომიურ ინტერესის დუღაბით ხვალ, იმედია, ამაყად ამცნებს თავის მტერმოყვარეთ შეერთებულ ქართველ ხალხის სიძლიერეს...

ამიერიდან პირველად და მწყობრად გამოდის გლეხთა საქართველო! თავის პატიოსნურ მუყაით შრომით, ოფლით და ამაგით.

ვულოცავ ძვირფას კახეთს ამ დიად დღეს და ვუსურვებ ჩემ საყვარელ სამშობლო კუთხეს ამ დიად ახალ საქმეს საუკეთესოდ მოწყობას და გაძღოლას.

კახეთს სჩანს არ ავიწყდება თავისი ისტორიული წარსული და მომავლის მისიაც.

იგი ყოველთვის ქართველ ერის ძლიერი მოწინავე ავანგარდი იყო. რახან თვითონ მოეწყობოდა, ამასვე მოუწოდებდა მთელ საქართველოს და არა ერთხელ თავის მძლავრ მხრებზედ სამშობლოს ბედი გადმოუტანია.

დღესაც კახეთს წარსულისამებრ არა ნაკლებ საპატიო ტვირთი უკისრნია:

ქართველ ერის ეკონომიურ დეზორგანიზაციის ხაზის გარღვევა და ქართველების ამ ისტორიულ მტრის საბოლოოდ უკუგდება.

და ეხლა კახელი თავისებურად აღარ იმღერს:

„აწმყო თუ არა მწყალობს
მომავალი ჩემია“.

რადგან დღეს აწმყოც და მომავალიც მის ხელშია.

და არა მარტო მისი, არამედ მთელი ერისა.

დ. კახელი.

## პროვინციის ქრონიკა

**ს. ახაშენი (სიღნაღის მაზრა)**

რამდენადაც ვიცით საგუბერნიო მართველთაგან პროექტია შემდგარი, რომლის მიხედვით სათემო მართველობა (волость) ახაშენი, მუკუზანი, ჩუმლაყი და ველისციხე, ერთ სათემო ერთეულად ჰსურთ გარდაქციონ. ასეთი შეერთება სამის სოფლისთვის სახელდობრ ჩუმლაყისა, მუკუზანისა და ახაშენისათვის არაოდეს ხელსაყრელი არ იქმნება და აი რატომ: სამივე სოფლის კომლეური მცხოვრებნი ერთად ველისციხისას უდრიან. ველისციხეში სულ მოვაჭრეები სცხოვრობენ და საკითხის გადაწყვეტა მუდამ მათს ხელში იქმნება. იგინი გლეხების, მიწის მომუშავეთა ინტერესებს მუდამ წინ გადაეღობებიან და დასჩაგრავენ, მეორეც ველისციხე ზემორე აღნიშნულ სოფლებიდან ძალიან დაშორებულია და განა გლეხი შესძლებს მით უმეტეს ზაფხულობით ან როცა ნიაღვრები და ავდრები არის ადგეს და ველისციხეში წავიდეს? ახაშენის, მუკუზანის და ჩუმლაყის მცხოვრებთ ასეთი შეერთება არ მოსწონთ და გამოცალკევებას თხოულობენ.

**ბ ა ქ ო.**

მუსულმანთა გამოქცეულთა მეტი წილი დედათა სქესია, რიცხვით 80 სული. მათ მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოება ინახავს.

**ფ ო თ ი.**

გვატყობინებენ, რამდენიმე დღეა ქალაქში ნავთი აღარ იშოვება. როდის მოიტანენ, არ უწყიან.

**გ ო რ ი.**

მთავარ სამკურნალო ინსპექტორის მართველობამ გადამდებ სენიანთა ბინის მოსაწყობად, სადაც 20 საწოლი უნდა იქმნეს, ერთდროულად გადასდო 8 ათასი მანეთი და ყოველ თვე 648 მანეთი.

**თ ე ლ ა ვ ი.**

თელავის მოქალაქეს დიმიტრი ოჰანეზოვს მისცვივნიან და სიკვდილით დამუქრებიან. ოჰანეზოვის მეუღლეს 50 მანეთი მიუცია ყაჩაღებისთვის და წასულან. ზომებია მიღებული.

**ბ ა თ ო მ ი.**

ართვინისკენ მიმავალ გზაზე ნაღმმა ორი მუშა იმსხვერპლა. ილიკო კობერიძე და დიმარუჩიძე.

**ო ზ უ რ გ ე თ ი.**

სახელოსნო ბანკიდან მიმავალ ბურჭულაძეს გზაში მცარცველები დაჰხვდნენ და ბანკიდან გატანილი 200 მანეთი წაართვეს. ბურჭულაძემ იცნო ერთი მცარცველთაგანი ვას. ღლონტი.

**ყ ვ ი რ ი ლ ა.**

ს. ტაბაკინში გადაწყვეტილია ნინოშვილის სახელობაზე გაიხსნას წიგნთსაცავ-სამკითხველო. ბინას უფასოდ გლეხი ოქროპირ წითელაშვილი უთმობს. ყვირილის ირგვლივ ღვინის მოუსავლობის გამო საპანე 60—75 მანეთად იყიდება.

## „მეხილეობის მოყვარე საქართველოში“

ცნობილი რუსი მეხილე მ. რიტოვი ძველად ძველ რუსულ სამეურნეო ჟურნალში—„სოფლის მეურნე“ („Сельскій хозяинъ“—№ 43—1915 წ.) სწერს:

„მართალს ამბობენ, რომ ამიერ კავკასიას თავის მშვენიერ ხილით შეუძლიან სრულიად განდევნოს რუსეთში სხვა და სხვა მხრიდან შემოტანილი ხილი, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლების სიზანტით მეხილეობა წინ არ მიდის. სხვათა შორის ისინი ხილის მოკრეფვის მაგივრად ტოტებსა ჰგლეჯენ. ბევრჯელაც ითქვა და დაიწერა, რომ ამიერ-კავკასიაში საჭიროა ზომების მიღება ამ დარგის წარმატებისთვის, საჭიროა, როგორც ზომა, სინეკურების ნაცვლად (?) მეხილეთა რაიონები დასახლებულ იქმნას კულტურულ მუშაკებით, მალაკნებით, დუხაბორებით, იაროსლაველებით და სხვა“.

ამას წინად ცნობილმა რუსმა მევენახემ გვამცნო აგრედვე, რომ კახეთში მევენახეობის კულტურა რუსეთიდან გადმოსახლებულებმა „შემოიტანესო, (ვორონცოვკამო, ნოვო-მიხაილოვკამო და სხვა). ეხლა მეორე-კი მეხილეობაზე გვითითებს და მეხილეთა რაიონებში ამავე მალაკნებს ეპატიჟება!

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რუსეთის ცნობილ მოღვაწეებზე?

რა დიდებულად შეუსწავლიათ თავისი სახელმწიფო! რა განათლებით და ქვეყნის ღრმა ცოდნით მსჯელობენ, სწერენ, და გაბედულად ავრცელებენ თავის ასეთ ნაშრომებს?

ამ განათლებულ მოღვაწეების წყალობით რუსეთის უმრავლესი ხალხი დარწმუნებულია აქამდის, რომ საქართველოში სომხები სცხოვრობენ, რომ თბილისი არარატის ძირშია მოქცეული, რომლის მწვერვალზედ ეჩმიაძინია აშენებული.

და თუ ქართველის სახელს გაიგონებენ მაშინვე დარწმუნებით გაიძახიან! დიახ გამიგონია, თქვენ რჯულით თათარი ბრძანდებით... და უმ ცხვრის ხორცს მიირთმევთ (ა. კუპრინი).

ბ. რიტოვი მოსჩივის „მეხილე მალაკნებს“...

ნეტა გვიჩვენოს სანიმუშოდ ასეთი მეხილე მალაკანი? ან და შორიდან თუ არ შესძლებს, მობრძანდეს დაგვხედოს და აქაურობას დახედოს:

და ნახავს, რომ ქართველობა, ათასგვარ ჭირ-ვარამის და დამაბრკოლებელ საშინელ გარეშე პირობების მიუხედავად, სხვის დაუხმარებლად, მაინც ზრდის თავის მშვენიერ ხილს და ანვითარებს თავის მეურნეობას

მისი მალაკან-იაროსლაველი კი დღემდის მარტოდ-მარტო ფურგუნებზე დაიარებიან.

ეკალი.

## მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**წერილი 6.**

დავალებული მქონდა შემომევლო არტაანის, ყაგიზმანის, ოლთის, გელსკის, ჩალდირის და სარაყამიშის რაიონები რათა გავცნობოდი თათართა გლეხების მდგომარეობას. ამასთანავე უნდა გამომეკვლია თუ რა სოფელში რა ავადმყოფობა მძვინვარებდა, რომ საჭიროების მიხედვით დამენიშნა საექიმო ქსენონების გახსნა. დილის შვიდი საათი იყო, საშინლად ციოდა, მთელი მიდამო რთვილით იყო დაფენილი, მე და ჩემი თანამხლებელი არ დავერიდეთ სიცივეს თუმცა საზაფხულოდ ვიყავით გამოწყობილნი და გავემგზავრეთ პირველად გოლსკინ რაიონში.

**სად. ხასკოი.**

თუმცა ხასკოიდან მიმავალი გზა ამ რაიონისკენ არის, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ მოკლედ მოგვეჭრა, ამიტომ შევუდექით მთას. თითქმის ნახევარი მთა ფეხით გადავიარეთ. შემდეგ ასე 5 ვერსამდის სულ თავქვე მოგვიხდა სიარული. გათავდა თუ არა ეს თავქვე, თვალწინ გადაგვეშალა თვალგაუწვდენელი დაცემული მინდორი, სადაც გაფანტულია პატარა სოფლები ოსმალო-თათრების და ბერძნების.

**სოფ. არპაშენი.**

პირველად ჩვენ მიველით სოფ. არპაშენში სადაც ცხოვრობენ ოსმალო-თათრები. ისინი საშინლად დაშინებულნი არიან. უცხოს დანახვაზე მიფრთხიან. ჩემს მისვლაზეც ფერი ეცვალათ, ერთი იმიტომ, რომ რუსის სახისა ვარ, და მეორე ჩემი თანამხლებელი თოფიანი იყო. როდესაც ავუხსენი მიზანი ჩემი მისვლისა, მაშინ მოიბრუნეს გული. მათმა მუხტარამ (ნაცვალია) მიჰმართა იქ მყოფთ: „იალან დიმაზ გურჯიდუ“ ტყუილს არ იტყვის, ქართველიაო. მაშინ დამრთეს ნება ავადმყოფების ნახვისა. აღმოჩნდა,

რომ თითქმის ნახევარი სოფელი სახადით [illegible]ვილა ავად. ეს სოფელი ერთად ერთი [illegible]ფელია ცოტა რიგიანი, თორემ სხვები სიღარიბეში ლაფავენ სულს. ამ სოფელს გარს ახვევია სოფ. მურყანი, ბაირამ-ოღლი, ნემესი კაპახ და სხ. აქვე არი სოფლები ბერძნებისა პროლმორი და სხ., მაგრამ ბერძნების და თათართა სოფლების შორის დიდი განსხვავებაა: პირველნი ნოყიერი ცხოვრებით კმაყოფილნი, მხოლოდ ოსმალონი ნიადაგის სიმწირით მსხვერპლი გამხდარან გაჭირვებისა და ათას გვარი უბედურობის.

**სოფ. ოყამი.**

ეს სოფელი გელსკის რაიონის ადმინისტრატიული ცენტრია, სადაც ცხოვრობს ბოქაული, არის ექიმი, ფერშალი და აგრეთვე შკოლა, რომელიც დღეს დაკეტილია.

**სოფ. მერდენეკი**

ეს სოფელი ბერძნებისაა და როგორც სჩანს ომიანობამდის მდიდარი ხალხი ყოფილა. დღეს ეს სოფელი ომის ასპარეზად ითვლება. მთელი დღე მოძრაობაა ჯარისკაცებისა. აქვე მოწყობილია საერობო კავშირის, ქალაქების, და სამხედრო საავადმყოფოები.

*

აქ უცნობ კაცისთვის ძალიან ძნელია დასაძინებლად ადგილი იშოვნოს, რადგან თვითოეულ ოჯახშიც კი ხუთი და ექვსი ჯარისკაცია ჩაყენებული. საჭმელზედ ხომ ლაპარაკიც არა ღირს, რადგან მისი შოვნა შეუძლებელია და თუ იშოვე ღმერთმა შეგინახოთ, მისი ჭამის შემდეგ თუ რა დაგემართებათ. პირველ ღამეს როგორც იყო, ერთ ფარღალალა „იურტაში“ გავათენე, ხოლო მეორე ღამეს აღარ დავერიდე და ხოლერიანთა ნაწოლ კრაოტში გამოვაცხე ძილი.

(ზოგი შემდეგ).

**ვ. ხ—შვილი.**

## საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

30 სექტემბერს დეპუტატთა პალატაში შეკითხვის დროს ჰენლევემ სთხოვა მთავრობას განემარტა თუ რა პირობებში მოეწყო და გაიგზავნა სოლუნში საექსპედიციო ჯარი. პრემიერმა ვივიანმა პასუხად განაცხადა, რომ არც საჯაროდ და არც დახურულ კრებაზე მას არ შეუძლიან საექსპედიციო ჯარის შესახებ რაიმე სთქვას, რადგანაც ეს საქმე მარტო საფრანგეთს კი არა მის მოკავშირეებსაც შეეხებაო.

შემდეგ ამისა, პალატის ყურადღების საგნად გახდა დელკასეს სამინისტროდან გასვლის ამბავი. ვივიანმა სთქვა, დელკასემ ჯანმრთელობის გამო, რამდენიმე ხნის წინად ქაღალდი შემოიტანა სამინისტროდან გასვლის სურვილის განცხადებით. ეს თხოვნა განიმეორა ეხლა ხან ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგო. გუშინ საღამოს დელკასემ თავის წერილში მოიყვანა მოტივები და სამინისტროდან გავიდა. ვივიანს საჭიროდ არ მიაჩნია დელკასეს წერილის გამოქვეყნება, რადგანაც არავითარ განხეთქილებას არასოდეს თავი არ უჩენია გარეშე საქმეთა მინისტრსა და მის კოლეგებს შორის. ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება თანხმობით იყო მიღებულიო. პარიზის დეპუტატი ჰენლევე ცნობილი მათემატიკოსი—მეცნიერი, მოითხოვს დამატებით განმარტებას დელკასეს წასვლის გამო და კვლავ სთხოვს მთავრობას განმარტოს თუ რა პირობებში მოხდა სოლუნში საექსპედიციო ჯარის გაგზავნა. ამ ექსპედიციის გამო ორატორი პასუხის გებას მთავრობას ახვევს თავზე და კითხულობს, რატომ მთავრობა მოქმედებას არ შეუდგა მაშინ, როდესაც ბულგარეთ-ოსმალეთის შეთანხმება უეჭველი შექნაო ან იქნება მთავრობისთვის მოულოდნელი იყო ბულგარეთის მთავრობის გადაწყვეტილება და რუმინეთ-საბერძნეთის ნეიტრალობაო. ჰენლევეს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია ამ საკითხების სრული გაშუქება, თუმც შეიძლება ამან დაანაღვლიანოს კიდეც მამაცი ჯარისკაცები, რომელთა გამხნევება გვმართებსო. კამათში ჩაერია როიალისტი დელამე, რომელმაც განაცხადა, რესპუბლიკას ორი რამესი უნდა ეშინოდეს: გერმანთა გაერთიანებისა და შინაური პოლიტიკური კამათისაო. დელამეს განცხადებამ ერთი აურ-ზაური დაატრიალა. ვივიანმა განაცხადა, თუმც არ სურს ასეთ ვნებიან სიტყვების შთაბეჭდილების ქვეშ დავსტოვო დეპუტატთა პალატაო, მაგრამ მაინც შეუძლოთ მიმაჩნია ყველა საკითხზე პასუხი გავცეო, რადგან ამიერიდან საფრანგეთის მთავრობა თანამშრომლობს არა მარტო კომისიებთან არამედ მოკავშირეებთანო. მთავრობას უფლება არა აქვს, გა ნაგრძო ვივიანმა, იმ სამხედრო და საზღვაო გეგმების თაობაზე ახსნა-განმარტება იძლიოს, რომელიც მოკავშირეებთან შეთანხმებით იქმნა შემუშავებულიო. ჩვენ შეუძლებლად მივიჩნიეთ, რომ სერბია მოესრათ, ანუ რომ მოვშორებოდით ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებსო. ჩვენ უნდა მიგველო მონაწილეობა ამ საქმეში, მაგრამ ჩვენს მთავარ შტაბთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ და საფრანგეთის ფრონტის შეუსუსტებლად. სოლუნში დესანტი გადავიდა და დღესაც გადადის. ვერაფერს გეტყვით საექსპედიციო ჯარის რაოდენობის შესახებ. ექსპედიციის სამხედრო და საზღვაო გეგმები შეთანხმებით შეიმუშავეს მოკავშირეთა მთავარ შტაბებმა. რამდენადაც შესაძლებელია, ყველაფერი წინასწარ არის გათვალისწინებულიო. შემდეგ ამისა ვივიანმა ნდობის საკითხი დასვა. პალატამ ნდობა გამოუცხადა 372 ხმის უმეტესობით 9 წინააღმდეგ.

## რუს მინისტ. ხვოსტოვის ზოგი რამ აზრი.

ახლად დანიშნულ მინისტრს ხვოსტოვს განუცხადებია, რომ დღეს ჩემი მოღვაწეობა სამს დარგში უნდა გამოიხატოსო: 1) ბრძოლა სინდიკატების თავგასულობის წინააღმდეგ, 2) ბრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ და 3) ბრძოლა ულმერთო სიძვირის წინააღმდეგაო. კარგად ვიცი—უთქვამს ხვოსტოვს—თუ ეს სიძვირე საიდანაც მომდინარეობსო. სპეკულიაციას სჩადიან და განგებ აძვირებენ ყოველგვარ სანოვაგეს. რუსი ხალხი უნდა განთავისუფლდეს ასეთს ძალმომრეობისაგანაო.

— მე მომხრე ვარ ძალის უფლებისა მაგრამ არა რეპრესიისაო. სრულებით საჭირო არ არის გაძლიერებული დაცვა, სახელმწიფოს უამისოდაც კარგად ვმართავთო.

წინააღმდეგი ვარ აგრეთვე რომ გაზეთებს დამატებითი ცენზორი ჰყავს. წინასწარის ცენზორის დანიშვნა გაზეთზე და საზოგადოდ პრესაზე, ეს ბატონყმობის აღდგენას ემზგავსებაო. პრესამ თავისუფლად უნდა გამოსთქვას აზრი, რადგან დაამტკიცა, რომ იგი მამულიშვილურ მიზანს ემსახურებაო.

რაც შეეხება მუშების საკითხს, მათს საპროფესიო ორგანიზაციებს, წინ არ უნდა გადავეღობოთ, მაგრამ განსაზღვრულ ჩარჩოში უნდა მოვათავსოთ. საპროფესიო კავშირი ქვეყნის ამყვავებელიაო.

კოოპერატიული მოძრაობა უნდა გავამხნევოთ. მრეწველობის განვითარება და წინსვლა საჭირბოროტო საკითხია სახელმწიფოსთვის. ჩვენი მრეწველობის განვითარება უზრუნველ გვყოფს ომის შემდეგ და გვიხსნის უმუშევართა ხალხის გამრავლებისაგან.

ერობათა და ქალაქთა კავშირების მუშაობა საქებია. მათ მიერ მითითება მთავრობის შეცდომასა, დეზორგანიზაციასა და გაუთვალისწინებლობაზე სასარგებლოა და ამით აჩქარებენ საქმის გამოსწორებას. მათ მიერ გამოტანილ რეზოლიუციების გამო მე ვფიქრობ, ნერვიულ მდგომარეობის ბრალია. ამის წინააღმდეგ რეპრესიების მიღება, რასაკვირველია არ უნდა მოხდეს.

ებრაელების საკითხის გადაწყვეტა დიდი რეფორმაა, რომლის დრო ეხლა არ არის. მაგრამ ზოგიერთი კანონის დებულების შეცვლა არა თუ შესაძლებელია, ცხოვრებაში უკვე განხორციელდაო.

მრეწველობის საკითხის დროს სხვათა შორის ხვოსტოვს უთქვამს: საშიში ის კი არ არის, რომ გერმანულ გვარს ატარებენ, არამედ საშიშია გერმანელების ფული, რომელიც რუსეთში 250 მილიონამდე არის და მარტო პროცენტს წლიურად 160 მილიონს იღებენო. გერმანელების კაპიტალის გამო, რუსის მრეწველობას დღეს სული ეხუთება და გასაქანი არა აქვსო. ამას უნდა ვებრძოლოთო.

## ბიბლიოგრაფია

**კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ.**

თ. მთავრიშვილის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის გამოცემა. გვ. 309 ფასი 1 მან. 20 კაპ.

ხსენებული შრომა ჩვენში ცნობილი მოღვაწის და მასწავლებლის ს. რ. გორგაძისა ძვირფასს განძად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მეტად ღარიბ პედაგოგიურ და სასწავლო მწერლობაში. იგი მაჩვენებელია ჩვენი საზოგადოებრივ-ეროვნულ შეგნების ზრდისა მის ერთ უმთავრეს პედაგოგიურ სფეროში.

კარგა ხანია დრო მოჭამა იმ შეხედულობამ, რომლის წყალობითაც სკოლაში მეფობდა მხოლოდ „ნებადართული“ სახელმძღვანელო (და არა ქრისტომატია). სასტიკად აღკრძალული ჰქონდა მასწავლებელს „ნებადართულის“ ფარგალს გადასცილებოდა და რაიმე დამატებითი ცნობა მიეწოდებინა მოსწავლეთათვის. სკოლას განსაკუთრებითი მიზანი ჰქონდა დასახული: „სხვა ჯიშის ადამიანების აღზრდა“. მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა, და შესაფერი მსჯავრიც დასდო ამ მოვლენას. შეუძლებელი იყო, საზოგადოებრივი შეგნება შეჰრიგებოდა მას, რადგან იგი საზოგადოების სიკვდილს მოასწავებდა.

დღეს უკვე არამც თუ ვიწრო პედაგოგიურ წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიაც კი უფრო და უფრო ვრცელდება აზრი სკოლის დიდაქტიკის გარდაქმნის საჭიროების შესახებ, ორი სალი პრინციპის მიხედვით. ერთი რომ სწავლებამ რაც შეიძლება მეტი სახიერების (наглядное обученіе) ხასიათი უნდა მიიღოს და მეორე მოწაფეთა თვითმოქმედების განვითარებას მეტი მასალა და ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს.

ამისათვის საჭირო იყო ძველი „მოწონებული“ ისეთ რამედ შეცვლილიყო, რომელიც მისცემდა მოწაფეს მასალას ჭკუისა და აზრის ასამუშავებლად, რომელიც თვითმოქმედების გზით საკუთარ შეხედულობას და დასკვნას გამოატანინებდა, დაუახლოვებდა საგანს, შესაფერს ისტორიულ შეგნებას და გემოვნებას შეუმუშავებდა.

აი ამ კეთილი ცხოვრებითი აზრის განხორციელება პედაგოგიურ სფეროში სხვა და სხვა საგნის „ქრისტომატიები“ გახლავთ. ჩვენში, მოგეხსენებათ, ისედაც მახინჯ მოვლენას უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა, რადგან ზედ დართული გადაგვარების პოლიტიკა უფრო აღრმავებდა მას.

ბუნებრივია, რომ ერის საზოგადოებრივი ლტოლვილება წინ აღუდგებოდა ამ ანორმალურ მოვლენას და თავის სვლას სწორედ იმ სალ პრინციპებზე დაამყარებდა, რომელიც ზევით გვქონდა მოხსენებული და თანაც განხორციელების სახესაც მინაგვარს მისცემდა.

ეს მოვლენა პირდაპირ ერთგვარ აუცილებელს ეტაპს წარმოადგენს ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. განვლილი საუკუნის ცხოვრება საუკეთესო მოწმეა ამისა. ეს ხომ ყველამ ვიცით, თუ რა დიდი ადგილი უჭირია პედაგოგიურ აღმზრდელობითი ავლა-დიდებას მოწაფე მასწავლებლით, სახელმძღვანელო—ქრისტომატიით მის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ძნელია, პირდაპირ შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა სალი ეროვნული ცხოვრება თუ სალი ეროვნული სკოლა არ იქნება.

აი ამ მოსაზრებით არ შეგვიძლიან დიდის თანაგრძნობით არ მივეგებოთ ბ-ნ გორგაძის ახალ შრომას. საერთოდ ქრისტომატიის, მით უმეტეს კარგი ქრისტომატიის შედგენა ადვილი საქმე არ არის, მეტადრე ჩვენ ქვეყანაში, სადაც ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული და განსაკუთრებით იმ დარგში, რომელიც შემადგენელს თავის წიგნის საგნად გაუხდია. დიდი პედაგოგიური გამოცდილება, მაღალი გემოვნება, კარგი და ღრმა ცოდნა საგნისა და მოწაფეთა გემოვნება—მოთხოვნილებისა—აუცილებელი საჭიროებაა შემდგენელისათვის.

ამასთან ერთად საჭიროა აუარებელ საგანძურიდან სწორედ ისეთი მასალის ამოკრეფა, რომელიც მართლა დამახასიათებელია და ამ მასალის ამოკრეფა და დაწყობა იმ გვარად, რომ იგი ავტორის აზრის მთლიანობას არ არღვევდეს და ამავე დროს საშუალო მასწავლებლისათვისაც შესაძლოს ხდიდეს ამ მთლიანობის და საერთო ხასიათის შეგნებას. ამავე საშუალო მასწავლებლისთვის საჭირო არის აგრეთვე განმარტებითი ხასიათის წერილები ბიოგრაფიული ან საზოგადო მიმოხილვითი ცნობებით.

გარდა ამისა, ამა თუ იმ ნაწარმოებიდამ ამოღებული მასალა, ნაწყვეტი არ უნდა იყოს ძლიერ დიდი ზომისა, რათა მასწავლებელს საშუალება მიეცეს განსაზღვრულ დროში დაიმუშაოს იგი, საერთო მთლიანი შთაბეჭდილება არ დაირღვეს დიდი ხნობით გაჭიანურების გამო.

უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ გორგაძეს ყველა ჩამოთვლილ სიძნელესთან ეს უკანასკნელიც, რომელიც საერთო დიდი ნაკლია ყველა დღემდის გამოცემულ ქართულ ქრისტომატიებისა, ადვილად დაუძლევია და მეტად საინტერესო მთლიანი და ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი წიგნი მოუცია.

მთელი თოთხმეტი (5—18) საუკუნის ჩვენი ერის შემოქმედების მდიდარს საღაროდან ბ. გორგაძეს დიდის ხელოვნებით ამოუკრეფია დამახასიათებელი მარგალიტები ერის სულის სიძლიერისა, მისი საუკეთესო ნიმუშები. ეს მასალა დაუნაწილებია პერიოდებად და განყოფილებად. ყოველ მათგანისათვის უძღვნია საზოგადო მიმოხილვა; მოუთავსებია აგრეთვე საბიოგრაფიო ცნობები თვითეულ მწერლის ნაწარმოების წინ.

დიდად მოსაწონია და მეტად საჭიროც ამის ფურცლობით მიყოლილი საძნელო სიტყვათა ახსნა. ღირსებად უნდა ჩაეთვალოს აგრეთვე დაცვა ტექსტების ძველებური მართლწერისა პირველ პერიოდის ნიმუშებში. მას პირდაპირ გადაჰყავს მკითხველი იმ დროის ატმოსფერაში, აგრძნობინებს და განაცდევინებს წარსულს დროს. ამ საერთო ღირსებებთან ერთად ბ-ნ შემდგენელს მოუხერხებია სავსებით და გონიერად შესრულება იმისა, რასაც წიგნის შესავალში გვპირდება.

მართლა რომ მკითხველის წინაშე კაზმულ სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებია, მაგრამ ამოკრეფილი იმგვარად, რომ ნაწილთა შორის კავშირი დაცულია.

ასეთის ღირსებით არის შედგენილი ახალი ქრისტომატია; ჩვენც უსურვებთ სასარგებლო წიგნს ფართო გავრცელებას.

[illegible] მოიპოვებს თანა-[illegible] გაუწევს არა თუ მარტო ჩვენ სკოლას, მასწავლებელ მოწაფეთ, არამედ ქართველ ოჯახსაც, საკითხავ წიგნად გახდება იგი ფართო საზოგადოებაში.

წიგნი სუფთად და მოხდენილად არის გამოცემული და, თუ მხედველობაში ჩვენი დროის ყველაფრის სიძვირეს მივიღებთ, 1 მანეთი და 20 კაპ. არც ისე დიდი ფასია.

**შ. ქ—ძე.**

## დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.

თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: წერეთელი ევგენი სოლომონის ძე (პრაპორშჩიკი), ასათიანი სამსონ მალაქიას ძე (პოლკოვნიკი), არსენაშვილი ალექსანდრე ისაკის ძე (პრაპორშჩიკი), გოგლიძე ლევანტი ბესარიონისძე, ახვლედიანი მელიტონ თომას ძე, მანჩხაშვილი აგ. ლუკას ძე, ჩინჩალაძე ირაკლი ალექსის ძე, შელაძე ალექსი გაბრიელის ძე, ჯოგლიძე იოსებ კონსტანტინეს ძე, გორგილაძე კონსტანტინე, ყორგინიშვილი ნიკო, სიროკაძე სერგი ნიკოლოზის ძე, ლეკიშვილი გიგო მიხაკას ძე.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. 55 წ. | საღ. |
| 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. 51 წ. | დღ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. | დღ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. | დღ. |
| | „ საავგ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან ზადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იგზავნება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „ხქესხბრივი საკითხი და ბავშვი“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახოსპირელისა, „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартkиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სს.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—43)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ბეზველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვაქვს საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადგილების ძებნა



ციპ! ციპ! ჩუმად! ჩუმად! ნელა, ნელა!

ჩხაკ! ვინ წინა და ვინ უკანა!

# სევდელა და ტანჯვგვრელა ყვაილი

დრამა ხუთ სურათად.

**მოქმედნი პირნი:**

**ანუკა**
**ტასო**, ანუკას მეგობარი ქალი.
**ღიმო**, ანუკას ვაჟი.
**შავებით მოსილი მანდილოსანი.**

**პირველი სურათი**

თვალწინ სოფელ ლარისის მაღალის მთის ფერდობია გადაშლილი. ფერდობზე, ადლ-ნახევარ სიმაღლეზე, მარმარილოს ვიწრო კლდე ამოწეულა. კლდის მარჯვენა მხარე ჩამოჭრილია. ბევრი მარმარილოს ლოდი აწყვია. შიგა და შიგ მარმარილოსავე სხვა და სხვა სახის თლილი ქვა ურევია, იქვე სამუშაო იარაღიც ყრია, კლდის მარცხენა მხარე ხელუხლებელია, ნელ-ნელა ეშვება დაბლა და ვაკეს უერთდება. ეს მხარე ფერდობისა ვარდის ბუჩქებით არის მოდებული. მთის ძირს ხევი ჩამოუდის. ხევ გაღმა ქედზე სოფელი ლარისია შეფენილი. კლდის მარჯვენა მხარეს ლოდებს აქეთ [illegible] ნატეხის მოშორებით პატარა ბექობზე წყარო გადმოჩხრიალებს და მწვანითა და ყვავილებით მოფენილ ვაკე ადგილზე ეშვება. წყაროსთან ცაცხვის ხეა ამოსული. ცაცხვის მოშორებით ხის ჯვრიანი საფლავები მოსჩანს. წყაროსთან ახლოს ცაცხვის ქვეშ ქვაზე შავებით მოსილი მანდილოსანი ჩამომჯდარა. შუბლი ყავარჯენზე დაუნდვია. სახე არ უჩანს, თითქოს სძინავსო. ყველაფერი დადუმებულია. უცბად სიჩუმე ირღვევა. ისმის ზარივით წკრიალა ხმა. ხევიდან ღიმო ამოდის. თორმეტი წლისა იქნება. თავშიშველაა. წელზე პირსახოცი არტყია.

**ღიმო.** (მღერით ვარდის ბუჩქებისაკენ მიდის).

თეთრი მთა მაღლა აჭრილა,
გაურღვევია ბუნდია
დღე მზე ედგმევა გვირგვინად,
ღამე ვარსკვლავთა გუნდია.

**მანდილოსანი.** (თავს მაღლა იღებს, სახე დაღარული აქვს, მანდილის ქვეშიდან ჭაღარა ჩამოსცვივნია, მიმქრალ თვალებში განუსაზღვრელი ტანჯვა აღბეჭდვია) ბავშვი უნდა იყოს... უმანკო...

**ღიმო** (ყვირილით) რა ლამაზად გადაფურჩქვნილა! (უახლოვდება ვარდის ბუჩქს) დედავ!... ეს რამ სიდიდო ეკლები აქვს!... რა უცნაური ფურცლები აქვს ვარდსა! თითქოს ვისმე უსერიაო.

**მანდილოსანი.** დიაღ გძელი ეკლები აქვს. დამცველი არავინა ჰყავთ... თვით უნდათ დაიცვან თავი, მაგრამ ვერ იცავენ..,

(ღიმო თითის წვერებზე დგება, ვარდისკენ იხრება, უნდა მოწყვიტოს მაგრამ თავს ვერ იმაგრებს, ფეხი უსხლტება და ძირს ეცემა. ხმაურობაზე ვარდის ბუჩქიდან ხვლიკები და ჯოჯოები გამორბიან და აქეთ-იქით იფანტებიან).

**ღიმო.** (ყვირილით). დედავ, რამოდენანი არიან! (წამოხტება ზეზე, წამოავლებს ჯოხის ნატეხს ხელსა და ბუჩქებს უჩუჩხუნებს. მრავალი ხვლიკი და ჯოჯო გამორბის ბუჩქიდან). დედავ საიდან მოუყრიათ ამდენს თავი! (ქვებს ესვრის) აჰა, ეს შენა!.. ესეც შენა! (ზევ-ზევით მოსდევს ქვემძრომთ და კლდეს უახლოვდება).

**მანდილოსანი.** გამრავლდნენ, ძალიან გამრავლდნენ! გველმა კი არ უკბინოს იმ ბავშვსა. ჩემამდე თუ მოახწია, აღარა უშავს რა... ბევრი მოშხამეს წყეულებმა ჩემკენ მომავალი, ჩემამდე აღარ მოახწევინეს. გულს ჯოჯოხეთის გენია მედება ხოლმე, როცა დაშხამულ უმანკოებას ვუყურებ! (მზეს შეხედავს) ჯერ კიდევ დილაა. შუადღისას, სიცხის გულზე, გამოიფინებიან ხოლმე ის წყეულები. ბავშვი მოახწევს ჩემამდე, გადარჩება.

**ღიმო.** (კლდეზე გადმოდგება) რა იქნენ?!. თითქოს აქეთ გამოიქცნენ!.. დედავჯან! . რა ლამაზი ყვაილებია! გვირგვინს დავიწნავ...

**მანდილოსანი.** (დაჟინებით უცქერის ბავშვსა და თავისთვის ამბობს) დაიწან გვირგვინი, პატარავ, დაიწან! ეხლა მაინც შეიმკე თავი სულნელი ყვაილებით, თორემ მომავალი ბევრს არას გიქადის.

**ღიმო.** (განაგრძობს ლაპარაკს) წყაროც ყოფილა... როგორ ჩამოჩხრიალებს!. დილა მშვიდობისა დიდედა (ხტება ძირსა და წყაროსთან მიდის) უჰ!.. რა ცივია!.. ცოტა მლაშე კია... მეყოფა (წყაროს სცილდება გაჩქარებით ყვაილებსა ჰკრეფს).

**მანდილოსანი.** საიდანა ხარ ბავშვო?.. აქ რამ მოგიყვანა? არ გეშინიან?

**ღიმო.** ლარისიდან, აი გაღმა სოფელი რომ მოსჩანს, იქიდანა საზაფხულოდ მოვედით მე და დედაჩემი. დილას პირის საბანად ხევში ჩამოვედი, აქეთ მხარეს ვარდის ბუჩქები დავინახე. სულ თეთრად ყვაოდა. ყვაილები ძალიან მიყვარს და წამოვედი.

**მანდილოსანი**. მერე, ვარდები რაღა უყავი?

**ღიმო.** ვერ დავკრიფე. რომელ ბუჩქთანაც კი მივედი სულ ჯოჯოებითა და ხვლიკებით იყო გამოტენილი. ზოგ ბუჩქებზედაც ვეებერთელა ობობებიც კი დავინახე. მერე ვარდი შორიდან ლამაზი მოჩანდა. ახლოს კი დასრესილსა ჰგავდა. ჯოჯოებს დავუწყე დევნა, ქვებს ვესროდი და ამ კლდეს კი მოვადექი... ნეტავი საიდან გაჩნდა ამოდენა ჯოჯო და ხვლიკი?!

**მანდილოსანი.** გაიზრდები და შეიტყობ.

**ღიმო.** დედაც აგრე მეტყვის ხოლმე... უჰ, რამოდენა ყვაილები დავკრიფე! მეყოფა. ახლა გვირვინი დავწნა (ჩამოჯდება კლდის ახლოს თლილ ქვაზე). დიდედო ვინა სთლის ხოლმე აქ ქვასა?

**მანდილოსანი.** გაიზრდები და შეიტყობ.

**ღიმო** (გვირგვინს სწნავს). დიდედო შენი სოფელი სად არის?

**მანდილოსანი.** (მთის მწვერვალზე უთითებს). აი იქ (თავისთვის). ერთ დროს შენც მოგიხდება იქ ამოსვლა, ჩემო ბიჭუნავ! კარგა ბლომად არის ქვები ატანილი, მაგრამ კიდევ ძალიან ბევრია საჭირო, ძალიან ბევრი!

**ღიმო.** დიდედო ეს საფლავები აქ რათ არის? ვისია?

**მანდილოსანი.** გაიზდები და შეიტყობ.

**ღიმო.** (ცოტა ხნით აჩერებს ხელებს და გაკვირვებით უცქერის). სულ გაიზდები და შეიტყობ, სულ გაიზდები და შეიტყობ!.. ნეტა მალე გავიზარდო მაინც! (განაგრძობს გვირგვინის წვნასა).

(ცოტა ხანს სიჩუმეა).

**ღიმო.** აჰა, გავათავე! ყვაილები კიდევ დამრჩა. თაიგულს შევკრავ და დედას წავუღებ (გვირგვინს თავზე იდგამს).

**მანდილოსანი.** აი ესენიც თაიგულში გაურიე (სწყვეტს წყაროს ახლოს ორ ყვაილს და ღიმოს გადუგდებს) სახსოვრად გქონდეს, თავის დღეში არ დაჭკნდება.

**ღიმო.** რა ლამაზებია! ჯერ არ მინახავს ასეთი ყვაილები. ნეტავი ამ ყვაილს რა ჰქვიან? (უჩვენებს ფემკრთალ ყვაილს).

**მანდილოსანი.** სევდელა.

**ღიმო.** წითელსა?

**მანდილოსანი.** ეგ ტანჯვგვრელა ყვაილია.

**ღიმო.** ეს სადაური სახელებია?! (ჰკრავს თაიგულს და შუაგულში სევდელასა და ტანჯვგვრელას ათავსებს).

**მანდილოსანი.** (თავისთვის, თითქოს ბავშვის საპასუხოდ). ეგ ფერმკრთალი ყვაილი ჩემი სევდით არის ნასაზრდოვები, წითელი—სისხლით. კიდევ ბევრს ყვაილს გამოიბამს ჩემი სევდა, კიდევ ბევრი წითელი ყვაილი გამოიკოკრება ჩემს ტანჯვაზე... რაკი ეგ ყვაილები შენს ხელში მოხვდა, პატარა, კიდევ დამხედავ, მომიგონებ!

**ღიმო.** რაო დიდედო?

**მანდილოსანი**. გაიზდები...

(ქვების ნამტვრევებიდან გველი გამოდის, ყალყზე დგება, უნდა ბავშვს ეცეს. მანდილოსანი თვალს შეასწრობს და ზეზე წამოვარდება).

**ღიმო.** (ვერაფერს ამჩნევს, წამოდგომას აპირობს) ეხლა კი შინ წავიდე... დამიგვიანდა.

**მანდილოსანი.** გაჩერდი ბავშვო. ადგილიდან არ დაიძრა (გველს ყავარჯენს ჩაარტყამს და თავს უჭეჭყავს. მოძრაობაში მხარმანდილი ძირს უვარდება და ჭაღარა ნაწნავები გამოუჩნდება). ოჰ!.. ეს წყეულები, ესა!.. რა ძალიან გამრავლდნენ! ამ წმიდა ადგილსაც კი შემოცოცდნენ. როდის იქნება თქვენს გასაგისს ბოლო მოეღოს! ვინ იცის რამდენი უმანკო შვილი მომიშხამეს (ღიმო გაფითრებული ზის). მოდი ბავშვო, წყალი დალიე, გული მოიბრუნე. ზაფრანის ფერი გაძევს.

**ღიმო.** (გონს მოსული). რამოდენაა, დედავ! (მანდილოსანი წყაროსთან მიიყვანს და მუჭით წყალს ასმევს), მლაშეა, დიდედო, მლაშე!

**მანდილოსანი.** აბა, ახლა წამომყე გაგაცილო, თორემ ძალიან ჩამოცხა და ვინ იცის რამდენი ქვემძრომი გამოძვრა გარეთ. არა გავნონ-რა იმ წყეულებმა. შენ უნდა იცოცხლო. ეს ჩემთვის საჭიროა. იშვიათად თუ ვინმე მოახწევს აქამდე.

**ღიმო.** ვინა ხარ დიდედო?

**მანდილოსანი.** შენი ტანჯული დედა, რომელმაც მთაში იმდენი ცრემლი დაღვარა, რომ აი ამ წყარომ ამოხეთქა.

**ღიმო.** დედა ჩემი შინ არის.

**მანდილოსანი.** ისიც ჩემი შვილია და სხვაც, ვინც კი ჩემს ენაზე ლაპარაკობს და ჩემ ტკივილებს გრძნობს.

**ღიმო.** (გაოცებული) რას ამბობს!?. ალბათ რომ გავიზდები, მაშინ გავიგებ (ერთს ხის ჯვარზე წარწერას თვალს მოჰკრავს. კითხულობს). „ბევრი იწვალა და ბევრი საქმე გააკეთა. საუცხოვო ჩუქურთმიანი ქვები დათალა და მთის მწვერვალზე აიტანა. საუკუნოდ იყოს, სახსენებელი შენი". მერე რა არის, რომ ქვები გათალა? (მანდილოსანი ხელს წაავლებს და მიჰყავს). ალბათ რომ გავიზდები, მაშინ გავიგებ.

**მეორე სურათი.**

თვალწინ საზაფხულოდ მოწყობილი ოთახია· ღია ფანჯარასთან ღიმოს დედა ანუკა მიმჯდარა. 35 წლის ქალი იქნება. საქმობს. დროგამოშვებით ხან ფანჯარაში იცქირება, ხან კარებს აცქერდება სახეზე მოუსვენრობა ეტყობა.

**ანუკა.** დიდება შენთვის ღმერთო... ქუდი მაინც დაეხურა... რა მოუვიდა?.. პირის დასაბანად წავიდა, შუა დღე გადავიდა და ჯერ კიდევ არსადა სჩანს. რომ მზე თავში ჩაუვარდეს, რაღა უნდა ვქნა... არც ჩაი დაულევია... (კარები იღება და ღიმო შემორბის).

**შიმა.** აი დედი, რა კაი თაიგული მოგიტანე! მხოლოდ ეს ორი ყვაილი კი ჩემია, არ მოგცემ (სევდელასა და ტანჯვგვრელას თაიგულიდან ამოიღებს, მაგიდაზე აწყობს, თაიგულს კიდევ დედას კალთაში ჩაუდებს).

**ანუკა.** იანგანო, იანგანო! სადა ხარ აქნობამდე? აგრე უნდა? წახვედი და გადიკარგე. ან პური მაინც არ მოგშივდა, თუ მე აღარ მოგაგონდი? თუ კიდევ ასე მოიქცევი, ისევ ქალაქში წაგიყვან. სადა მაქვს იმის თავი რომ მუდამ შენთვის გული ვიბრუნო! შე პირშავო, შენა, ქუდს მაინც დაიხურავდი. არა, ისევ ქალაქს უნდა წავიდეთ (ღიმო ამ ხნის განმავლობაში კარადიდან ჭიქას გადმოიღებს წყლით აავსებს და შიგ სევდელასა დ ტანჯვგვრელას ჩასდგამს).

**ღიმო.** (ანუკას ეხვევა) არა, დედილო, ნუ ჯავრობ!.. (უჩვენებს გვირგვინზე) აი ჩემი ქუდი... ხევგაღმა ვარდები დავინახე. ძალიან მომეწონა. შენ ხომ იცი, ყვაილები მიყვარს... (დაღონებული) მაგრამ სულ გაფუჭებული იყო, გაშლილიც და გაუშლელიც, თითქოს ვისმეს უსრესიაო... აი ამ სიდიდო (უჩვენებს თავის სალოკ თითს) ეკლები ჰქონდა...

**ანუკა.** (გაფითრებული) თვალები კი დამიდგა, თვალები! ვარდიანში ყოფილხარ. ნეტა რა ღმერთი გამიწყრა, რომ ვერ გაგაფრთხილე! ის ალაგი ხომ გველებით არის სავსე. შუა დღისას თურმე სულ ფუთფუთი გააქვთ ხოლმე. თავაღებული ვინმე თუ გაივლის იქით, თორემ ყველა ერიდება. ნეტა როგორ გადარჩა!.. (პირჯვარს გადაიწერს და მაღლა აიხედავს) გმადლობ შენ, ღმერთო, გმადლობ!.. (ღიმოს) აი შე საძაგელო, შენა!..

**ღიმო.** ნუ, დედა, ნუ ჯავრობ! (მიუტანს სევდელას და ტანჯვგვრელას). შეხე, რა კაი ყვავილებია.

**ანუკა.** (გაკვირვებული) სად მოწყვიტე შვილო?! ჯერ არსად მინახავს მაგგვარი ყვაილები.

**ღიმო.** (უჩვენებს ფანჯრიდან) აი იმ თეთრ კლდის იქით პატარა ველია. სულ მწვანით არის დაფენილი. ყვავილებით სავსეა, იქვე წყაროა, ცაცხვის ხე და საფლავები. ბებერი დედაკაცი ვნახე, სულ შავები ეცვა იმან მომცა (ანუკა შეკრთება).

**ანუკა.** მაშ ზღაპარი არ ყოფილა!.. ეს უთუოდ სევდელა და ტანჯვგვრელა

## მიყვარს ცხოვრება

მიყვარს ცხოვრება მოუსვენარი,
ვით ზღვა მქუხარი, მარად მღელვარი,
თვისის ქარბუქით და ქარიშხალით
გზას მიბორკავდეს, თან მსდევდეს შხამით.
მე მის მკვეთრ ძალას არ ვუკრთებოდე,
ამხედრებული ვეურჩებოდე!
მშფოთვარე სულით, მრტვინავის გულით
ცხარე ბრძოლაში მარად მიწვევდეს;
ქედმოუხრელად, წარბშეუხრელად
ან ვიმარჯვებდე, ან მამარცხებდეს!

—

მიყვარს ცხოვრება სავსე ვაებით,
კვნესა წუხილით, ტანჯვა წამებით,
რომ ჩემს ურჩ სულსა მოსწყურდეს შვება,
უშრეტის ცეცხლით აღმენთოს ნება,
თამამად სცემდეს ოცნების ფრთენი,
ცხარე ბრძოლაში დავლიო დღენი!

—

მიყვარს ცხოვრება ფაფარ აშლილი,
შფოთის მინდორი მასზე გაშლილი!
რაც გეღობება, ლახვრად ეკვეთო,
შეჰქმნა, შექმნილი გადააკეთო!
რად მინდა მყუდრო ტბა ან ჭაობი?
გულს მოეკიდოს ხავსი და ობი!

—

ცხოვრება მხოლოდ იმით კარგია,
მასში სხვა და სხვა ბრძოლის დარგია!
დაემხოს ვინც კი მეტი ბარგია!
აღზდგეს თამამი და სრულყოფილი,
სხვა დანარჩენი ან რის მარგია?!

**სანდრო შანშიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი წვრილმანები



**გულუბრყვილო მკითხველი**

ეე! ამ ხურდა ფულის სიძვირეში შაურს რაში ვაძლევ!? რედაქციას უნდა გამოუნგარიშოს თეთრი ადგილები!

**ორი გამოქცეული:**

— შენ ვინა ხარ?
— გამოქცეული! შენა?
— მეც!.. მხოლოდ ჩემის მოვალეებისგან!

**სოციალისტთა ბანაკში**

„ყოფნა არ ყოფნა! საკითხავი სწორედ ეს არის!“
რომელი „კარტა“ გადავშალოთ ჩვენი პროგრამის?
სოციალიზმი? რიალური მოსახლეობა
თუ გამდიდრება? იქნებ სჯობდეს „უკუჯექობა“.

---

ყვაილებია... განსვენებულმა დიდედამ სწორედ ასეთები ამიწერა. სოფელ ლარისთან ახლოს არისო... ჰო... მაგონდება დიდედას ნალაპარაკევი... თეთრი კლდე... შავებით მოსილი მოხუცებული მანდილოსანი... საფლავები... ცაცხვი... წყარო... ცრემლის წყარო არისო, დიდედამ სთქვა.

**ლიმო.** ჰო, დედა, იმ დედაკაცმაცა სთქვა.

**ანუკა.** (მუდარით) გადაყარე, შვილო, ეგ ყვაილები! შენი ხელითვე გადაყარე!.. თორემ შენ სიცოცხლეში სევდა და ტანჯვა არ მოგშორდება. ჩემო ლიმო, შენს პირზე ღიმი სამუდამოდ გაქრება...

**ლიმო.** არა, დედა, არ გადავყრი! სახსოვარია. ბებერმა გველი მოკლა, გადამარჩინა... იმან მომცა ყვაილები... არ გადავყრი.

**ანუკა.** (კიდევ მუდარით) გადაყარე, შვილო, გადაყარე!.. რაღა ვქნა, გენაცვალეთ! ხომ დავიღუპე! როგორც გამიგია ეს ყვაილები თავისდღეში არ გაჰქნდება... გადაყარე, ბიჭო!

**ლიმო.** (ყვაილებს გულთან მიიტანს) არ გადავყრი.

**ანუკა.** მაშ ისევ ქალაქში წაგიყვან!

**ლიმო.** წამიყვანე... არ გადავყრი.

**ანუკა.** რა ჯიუტი ხარ! (თავისთვის) წავიყვან ქალაქში. იქნება იქ როგორმე გაერთოს, ყვაილები გადაავიწყდეს (ლიმოს). რაკი კერპობ, მაშ ჩაილაგე შენი ნივთები! (ანუკა მზადებას შეუდგება. ლიმო გაჯავრებული მოიგლეჯს თავიდან გვირგვინსა და ფანჯრიდან გადაისვრის, თაიგულსაც თან მიაყოლებს, სევდელასა და ტანჯვგვრელას ჭიქით მაგიდაზე დასდგამს და უგულოთ დაიწყებს ნივთების ჩალაგებას).

### მესამე სურათი.

სასადილო ოთახი. მსახური სუფრასა შლის. ანუკა და ტასო ბაასობენ.

**ტასო.** ლიმო სად არის? რატომ არა სჩანს? ჯერ სასწავლებლიდან არ მოსულა?.. გაიზრდებოდა.

**ანუკა.** მოვიდა. თავის ოთახშია.

**ტასო.** ერთი იმ საძაგელს უყურე რომ ჩემს სანახავად არ გამოვიდა. წინად რომ მოვსულვარ, თავს მაბეზრებდა, გვერდიდან არ მშორდებოდა, ეხლა რაღა დაემართა?

**ანუკა.** აკი გწერდი ამას წინად, რა უბედურებაც მეწვია, შარშან რომ სოფელ ლარისში საზაფხულოდ ვიყავი.

**ტასო.** ჰო, მაგონდება განა ასეთი ყვაილები იქნება? შენი ფანტაზიაა.

**ანუკა.** გეუბნები, ქალო, აქამდე არ დამჭკნარა. მე მგონი წყალიც რომ არ ჩაუსხა, მაშინაც ყურებს არ ჩამოჰყრის.

**მსახური.** გავათავე... მოგართვათ სადილი?

**ანუკა.** მაშა, მაშა!.. ლიმოსაც ხმა მიეცი (ტასოს) მოიხადე, ქალო, ქუდი! სულ ერთია დღეს არსად გაგიშვებ. ან სასტუმროში რა გინდა? სულაც რომ ჩემთან გადმოსახლდე, სანამ ამ ქალაქიდან წახვალ, ურიგო არ იქნება. შენი თავი მესაჭიროება. იქნებ ლიმოს რამე ვუშველოთ, თორემ ერთმა ვერა გავაწყე რა (ლიმო შემოდის. სტაქნით ორი ყვაილი შემოაქვს, სტოლთან ჯდება და წინ იდგამს. ანუკა ხმას დაუშვებს და ისე ეუბნება ტასოს) ხედავ? აი აგრე, შევა თავის ოთახში თან შეაქვს, გამოვა და თან გამოიტანს. რომ ნება მისცენ, სასწავლებელშიც თან ატარებს. ბევრი ვეცადე, ბევრი, მაგრამ ვერ გადავაყრევინე. მას აქეთ რაც ეს ყვაილები ჩემ სახლში შემოვიდა ჩემს ბიჭუნას სახეზე ღიმი გაუკრთა. სადღაა მუდამ მოღიმარი ჩემი ლიმო!.. ცელქი... მოუსვენარი... ან სულ წიგნებში ჩაიცქირება, ან მაგ ყვაილებს უცქერის. ამხანაგები სახლში აღარ გააჭაჭანა. ძილში სულ ვიღასაც ელაპარაკება... ალბათ იმ მოხუცს, იქ რომ ნახა.

**ტასო.** (დაბალის ხმით) მაგ ლლაპმა როგორ უნდა გაჯობოს? მოსტაცე ყვაილები და ცეცხლში შეუძახე.

**ანუკა.** (დაბლა) მე რომ გადავყარო, მაგითი არა ეშველება რა. თვითონ უნდა გადაყაროს და მაშინ მობრუნდება. განსვენებულ დიდედასაგან მაქვს გაგონილი, თუ თვითონ პატრონი არ გადაყრის ყვაილებს, სხვის ხელით გადაყრას ძალა არა აქვსო.

**ტასო** (ხმა მაღლა) ნეტავი როგორ არა გცხვენიან, რომ მაგისთანა ზღაპრებს იჯერებ? (წამოვარდება ზეზე, მიეჭრება ლიმოს და ყვაილებს მოსტაცებს) შე, საძაგელო, შენა!... არა გრცხვენიან? აგრე უნდა დახვდე დეიდა ტასოს? სალამი არც კი უნდა მომცე? სულ ამ ყვაილების ბრალი უნდა იყოს. ეხლავე დავსრეს და გადავყრი!

**ლიმო.** (ჯიბიდან დანას ამოიღებს) იცოდე, დეიდა, გააფუჭებ მაგ ყვაილებს და თავს მოვიკლავ. ხედავ ამ დანას?

**ანუკა.** (მივა ტანოსთან) მიე, თუ ღმერთი გრწამს!

**ტანო.** (შემკრთალი და გაოცებული ბავშვის ქცევით) აჰა, შენი ყვაილები!

**ლიმო.** (გამოართმევს ყვაილებს) დედა, იცოდე, თუ როდისმე ამ ყვაილებს მომპარავ და გადამიყრი, ცოცხალს აღარა მნახავ! (მიდის თავის ოთახში).

**ანუკა.** შე გიჟო, შენა! დეიდა გაგეხუმრა, სად მიდიხარ? სადილი ჭამე.

**ლიმო.** არ მინდა თქვენი სადილი.

(ანუკა დაღონებული დასცქერის სუფრას. ტასო ლიმოს თვალს გააღევნებს).

### მეოთხე სურათი.

სოფელ ლარისის მთის ფერდობი. წყაროს წყალი მოჰმატებია. ცაცხვის ხეს თავის ტოტები უფრო განზე გაუშვერია. მწვანეზე მოსჩანს ბარი, წერაქვი და სხვა სამუშაო იარაღი. ცოტა ხნის უკან მთიდან მომავალი შავებით მოსილი მანდილოსანი გამოჩნდება. მარცხენა მხარეზე ხის ჯვარი გაუდვია მარჯვენა ხელში ყავარჯენი უჭირავს.

**მანდილოსანი.** (მივა წყაროსთან, ჯვარს ცაცხვზე მიაყუდებს და ქვაზე ჩამოჯდება) პატარა შევისვენო, საუკუნოები მხარზე მაწევს (გადახედავს ახალს საფლავს) ბევრი იტანჯა, იწვალა. გული მესერებოდა მაგის ცოდვით (რამოდენიმე ხანს გაჩუმდება და ყავარჯენზე თავს დააყრდნობს, მერე წამოდგება, ჯვარს ასწევს, საფლავის თავით ამოთხრილ ორმოში ჩადგამს და გაამაგრებს) ესაც შენა. შენი საქმე, შვილო, თავის ნაყოფს გამოიღებს (ფეხის ხმა შემოესმის). მოდის (კლდეზე ლიმო გადმოდგება. დავაჟკაცებულა. შუბლზე ღარები ეტყობა. დაღვრემილია).

**ლიმო.** გავიზარდე (დაღონებული). მოხუცებულ დედას თავი დავანებე და წამოვედი (ძირს ჩამოვა და მანდილოსანს მიუახლოვდება). მინდა ყველაფერი გავიგო. აი ყვაილები, როგორც ჩემს სიცოცხლეს ისე ვუფრთხილდებოდი (აწვდის).

**მანდილოსანი.** გადაყარე (ლიმო გადააგდებს ყვაილებს). ხედავ, რა სწრაფად გაჰქნენ? თავიანთ საქმე შეასრულეს, საჭირონი აღარ არიან... თხუთმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც აქ იყავი... დედას თავი დაანებე?

**ლიმო.** დიახ, დავანებე.

**მანდილოსანი.** დიახ, უნდა დაგენებებინა. ჩემი გულისთვის დედას ყველამ თავი უნდა დაანებოს. მე ყველა დედების და დედების შვილების დედა ვარ. მრავალი საუკუნოები მიცხოვრია; წარსულნი ჩემი ძუძუს რძით გამოკვებილან, აწ არსებულნი ჩემი ძუძუს რძით იკვებებიან და მომავალნიც ჩემი ძუძუს რძით გამოიკვებებიან. ჩემი სიცოცხლე თქვენი სიცოცხლეა, ჩემი სიკვდილი თქვენი სიკვდილია...

**ლიმო.** (თავისთვის) მივხვდი ვინც არის.

**მანდილოსანი.** იქ (უშვერს თითს მთის მწვერვალისკენ) მქონდა ტაძარი, მაღალი, თვალწარმტაცი. ტაძრის სარკმელებს ლალნი, საფირონნი და ზურმუხტნი ამკობდნენ. გუმბათის ზედაპირი ალმასით იყო მოკირწყლული. დღე მზე თავს დასტრიალებდა, თვალს ვერ აშორებდა, ღამე ვარსკვლავთა გუნდი და მთვარე ევლებოდა... გახსოვს, ამ თხუთმეტი წლის წინად შენ რომ მღეროდი?

**ლიმო.** მახსოვს, თვითეული ნაბიჯის გადადგმა მახსოვს. არაფერი დამვიწყებია. თვალწინ სულ ეს ადგილი მეხატებოდა.

**მანდილოსანი.** ის ლექსი ძველ დროს ეკუთვნის. ხალხმა ჩემ ტაძარს გამოუთქვა. ძველად ასე ამბობდნენ:

ტაძარი მაღლა აჭრილა,
გაუფანტია ბუნდია,
დღე მზე ედგმევა გვირგვინად
ღამე ვარსკვლავთა გუნდია.

ჩემი შვილები იმ ტაძარში ქება-დიდებას მეუბნებოდნენ, მსხვერპლსა მწირავდნენ. ტაძრის ზარის ხმა შორს, შორს მიდიოდა და მწყობრ ჰანგებად იშლებოდა. მთის ფერდობნი, მთის ძირის ველნი უცხო წალკოტებით იყვნენ მოფენილნი და ბულბულთ სავანეს წარმოადგენდნენ. მშვენიერნი ჩემი ასულნი ვარდის სულნელებაში ბანაობდნენ. ახოვანნი, მამაცნი ვაჟკაცნი თავს დასტრიალებდნენ და იფარავდნენ. მეც ვამაყობდი. წელში გასწორებული ვიყავი. ჩემი თმა გიშერზე მეტად ელვარებდა. ჩემი თვალები მხიარულობის სხივებს ისროდნენ. ჩემი სახე თავის სითეთრით თეთრს, კამკამა მარმარილოს აღემატებოდა (ლიმო გატაცებული ყურს უგდებს, სახეზე სიამოვნების სხივი უთამაშებს). დრო-ჟამმა განვლო, ტაძარი დაიხგრა. წალკოტნი გავერანდნენ და უწმინდურებით გაივსნენ. მე ძალა გამომეცალა და ამაყი აირას დავემსგავსე (ლიმოს სახე ეღვრიმება, თვალებში გამოუთქმელი ტანჯვა ეხატება). წელში მოვიხარე. ეს ჩემი სავანე გველთა სავანედ გადაიქცა. ჩემი შვილები მკვდარს დაემსგავსნენ... თითქმის ყველას, ყველას დავავიწყდი. დედები შვილებს ჩემ სახელს აღარ ეუბნებიან. თითო-ოროლას თუ ვაგონდები, დანგრეულ ტაძრის სამსხვერპლოზე მეწირებიან (გადახედავს საფლავებს და თვალებზე ცრემლი აუბრწყინდება)

**ლიმო.** დიდო დედავ, ვის ეკუთვნის ეს საფლავები? როცა უცქერი თვალები ცრემლით რათ გევსება?

**მანდილოსანი.** ჩემი შვილებისა, ჩემის კეთილის მოსურნეთა საფლავებია. უფროსი დედის გაჭირება გაჰხსენებიათ სხვადასხვა დროსა დ აქ მოსულან. ლოდებს ხომ ხედავ? მაგეებს სჭრიდნენ, სთლიდნენ, ალამაზებდნე და მთის მწვერვალზე ზურგით აჰქონდათ. უკანასკნელად ამან (უჩვენებს ახალ საფლავზე) დათალა ქვები და იქ აზიდა. ერთილა დარჩა, ველარ აიტანა და დაქანცულმა საუკუნოდ მიიძინა.

**ლიმო.** დიდო დედავ, რად გინდა ქვები?

**მანდილოსანი.** მინდა დროთაგან უძლეველი ტაძარი ავაგო. ტაძარი ძალიან მაღალი უნდა იყოს, გუმბათის წვერით ცას უნდა სწვდებოდეს, ტაძრის ქვები ჩემის შვილების სისხლნარევ ოფლში აზელილი კირით უნდა იყოს შეკავშირებული. მხოლოდ მაშინ იქნება კედლები მტკიცე, უდრეკი... ავაგებ ტაძარს, ზარს ჩამოვკრავ და გველნი, ქვემძრომნი ამოწყდებიან, ქვეყანა უცხო წალკოტებით მოიფინება. ვარდი იხარებს. მეც ფერს შევიცვლი, განვახლდები. გულს კაეშანი მომშორდება.

**ლიმო.** (ალტაცებული გათლილ ქვას ხელს წამოავლებს და მხარზე შემოიდებს). დედავ, საით წავიდე! მითხარი.

**მანდილოსანი.** (წელში გასწორდება) მომყევი, შვილო! (მიდიან).

### მეხუთე სურათი.

ლარისის მთის ფერდობი. ლოდებში სხვადასხვა სახით შემკული ბევრი ლამაზი თლილი ქვა ურევია. იქვე ბარი, წერაქვი და სხვა იარაღი ყრია. მარმარილოს კლდეს შავებით მოსილი მანდილოსანი დაყრდნობია და ქვებს დასცქერის. გვერდით ყავარჯენი მიუყუდებია. სახეზე ღიმი უკრთის.

**მანდილოსანი.** პირველ ხანებში უძნელდებოდა მერე კი ისწავლა, შეეჩვია და ბევრი მოსჭრა და დათალა. ბევრიც აზიდა. ლიმომ ჩემი გული ახარა. აი რამდენი შავი თმა გამომერია. სახეზედაც ზოგიერთა ნაოჭი გამიქრა... რა კოხტად გამოიყვანა ეს სვეტის თავები!.. აი ამ ამოღრმავებულებში პატიოსანი თვლები ჩამწკრივდება; ფოთლებს შუა თითო დიდი საფირონი ჩაისხმება, გარს ობოლი მარგალიტების წყალი გაუკეთდება, მარგალიტების წყალს გარს ფირუზების წრე შემოევლება. ფოთლებს ზევით ზურმუხტი შემოუმწკრივდება და ფოთლებს ქვევით ლალი. თვითეული სვეტის თავი მეფის გვირგვინს დაემსგავსება... (უცბად სახეზე ღრუბელი გადუვლის, გულზე ხელს იტაცებს). რად დაიგვიანა ლიმომ?.. გულმა რაღაცა ცუდი იგრძნო!.. ადრე მოხუცდა. ჯაფამ გასტეხა. ძალიან გულმოდგინეთ მუშაობდა. მთის წვერზე ასვლამ მუხლი მოჰკვეთა... [illegible] საუცხოვო ნამუშევარი ველარ აიტანოს! (ზევიდან ფეხის ხმა ისმის. ცოტა ხნის უკან ლიმო გამოჩნდება; ნელ-ნელა მოდის. წვერი და თმა მთლად გასჭაღარავებია. წელში მოხრილა. სახეზე ღრმა ნაოჭები დასწყობია. წყაროსთან მივა და ქვაზე დაეშვება).

**ლიმო.** ოჰ!.. ძალა გამომელია... ოცმა წელმა განვლო დიდო დედავ! ოცმა წელმა განვლო, რაც მე ვმუშაობ, მაგრამ მაინც ჩემი გაკეთებული ზღვაში წვეთია... მკლავი ველარ ამიწევია... ჩემი დათლილი ქვები დამრჩება... (მანდილოსანი უახლოვდება და თვალებში დაჟინებით უცქერის). დიდო დედავ, ძალიან დავიღალე (ამთქნარებს). ოჰ, რა რიგ მეძინება! (მანდილოსანი გვერდით მოუჯდება და გულზე გადისვენებს). ოჰ, დიდო დედავ, მკლავები მეყინება!.. ფეხი ველარ გამინძრევია... სული მეხუთება...

**მანდილოსანი.** დაიძინე, შვილო! განისვენე (ლიმო თვალებს ჰხუჭავს) ვგრძნობ, რომ სამუდამოდ მშორდები (ქვებს თვალს გადაავლებს და აცრემლდება, მერე ლიმოს დააცქერდება და ნელის ხმით ეუბნება)

ნანა, შვილო! შენს ღვაწლს არასდროს
არ დავივიწყებ.
ნანა, შვილო! ჩემს ტაძართანა ძეგლსა
აგიგებ.
ნანა, შვილო! შენსა სახელსა მე განვადიდებ.
ნანა, შვილო! შენ მომავალნი დაგაფასებენ...

გათავდა! საუკუნო ძილმა შებოჭა (მწვანეზე დაასვენებს, გულ-ხელ დაუკრეფავს და ბარს აიღებს) უნდა ლოგინი მოუმზადო (დაჰკრავს ბარსა) მიწავ, ხელგაშლით მიიბარე! (მიწა ადვილათ ითხრება). გაუფრთხილდი, ახლო არავინ მიაკარო. წმინდა საფლავი ქვემძრომთ ბუნაგად არ გახადო (საფლავს უცნაურის სისწრაფით ამოაღრმავებს). მყუდრო სავანე მოგიმზადე, შვილო! (გვამს საფლავში ჩაასვენებს). აი სახურავიც. (დააყრის მიწას) მძიმე არის განა?... ოჰ, მძიმე არის!.. (მივა წყაროსთან, ქვაზე ჩამოჯდება და აქვითინდება) აჰა, წყაროვ, კიდევ ცრემლები! შეიერთე... სევდელა და ტანჯვგვრელა კიდევ ამიყვავე...

**ინ—ბანი.**

---

## მგოსნის სონეტი

ყველა მოკვდება... ყველა გაჰქრება
საქორწილოსაც გაგვხდიან საცმელს
საფლავის მტვერი დაეფარება,
ჯერ გადაუშლელ გრძნობის კრეტსაბმელს,
ვინ გაიხსენებს ჩვენ რო გვიყვარდა
ან ვინ გაიგებს ჩვენ რო ვცხოვრობდით?
არყოფნის ღამის დაგვფარავს ფარდა,
არყოფნის ღამე გვეტყვის „მშვიდობით“.

—

მგოსნის სონეტი მოვა საფლავზე
მტვრიან და ძველი წიგნით ამდგარი,
მოვა და მწარედ აქვითინდება,
როს შეაშფოთებს ტირიფს შტოს ქარი.
დაუწყებს ტირილს განვლილ ცხოვრებას
გამოუტანელ სიზმარივით მკრთალს
და შეავედრებს დამწვარ მგოსნის სულს,
ყოვლის გამკითხავს ზენაარ უფალს...

**ტ. ტაბიძე.**